

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



გიგა სულაბერიძე

საქორწინო ხელშეკრულება
(სამართლებრივ და საზოგადოებრივ ჭრილში)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ML1601PL სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი-ნანა ყურუა
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება დღევანდელი დღისათვის აქტუალურ და თანამედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ინსტიტუტს - საოჯახო სამართალს. მასში განხილულია საქორწინო ხელშეკრულება, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ჭრილში.

თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებულმა საბაზრო ეკონომიკისა და კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელმა პრინციპებმა, აქტუალური გახადა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების ახლებური ინტერპრეტაცია.

ნაშრომში განხილულია საქორწინო კონტრაქტის ძირითადი ასპექტები, საქორწინო ხელშეკრულების წარმოშობის ისტორია და საქორწინო ხელშეკრულების ცნების განსაზღვრა. საქორწინო ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, მისი სუბიექტები, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. საქართველოში დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორები, ზემოხსენებული ხელშეკრულებისადმი ქართული ტრადიციული საზოგადოების მორალურ-სამართლებრივი დამოკიდებულება.

საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ნაშრომში ასახულია ის ხარვეზები და სტატისტიკური მონაცემები, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ კონტრაქტთან. საქართველოში ეს ინსტიტუტი იშვიათად გამოიყენება, დადებულ კონტრაქტთა უმრავლესობაში, კონტრაქტის ერთ-ერთი მხარე არის უცხო ქვეყნის მოქალაქე. აქედან გამომდინარე, საქორწინო კონტრაქტი განხილულია სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით.

ასევე სამაგისტრო ნაშრომში შევხვხვ საქორწინო ხელშეკრულების ძირითად პრობლემურ საკითხებს. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ის მნიშვნელოვანი

დებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია საქორწინო ხელშეკრულების დადებასთან, ხელშეკრულების ძალაში შესვლასა და ვადებთან. ასევე ის მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება, ან არ შეიძლება გათვალისწინებული იქნას საქორწინო კონტრაქტში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კუთხით არსებობს სხვადასხვა ლიტერატურა თუ ნორმატიული აქტები, ზემოხსენებული ხელშეკრულება თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე კვლავ სამოქალაქო სამართლის მეცნიერთა კვლევის საგანია.

გიგა სულაბერძე

Annotation

The present Master's Degree applies to the most important legal institution for the current community – Family Law. It deals with a wedding contract in a legal and public context. Principles for the market economy and private-legal relationships established in the modern world made the new interpretation of the rights and duties of spouses.

The work deals with the basic aspects of the wedding contract, the work deals with the basic aspects of the wedding contract, the history of the marriage contract and the determination of the concept of the wedding contract. Marriage contract as a civil contract, its subjects, property and non-property rights of parties mentioned in the contract. Obstructive factors in establishment in Georgia, moral-legal attitude of Georgian traditional society to the above-mentioned treaty. Based on the Georgian legislation, the work reflects the shortcomings and statistical data related to the above contract. This institution is rarely used in Georgia, in the majority of contracts one of the Contracting Parties is a foreign citizen. Consequently, the wedding contract is reviewed by

comparison-legal analysis of civil law of different countries. Also, in my master's work, I have addressed the main problematic issues of the marriage contract. The present work deals with the important provisions relating to the conclusion of a marriage contract, the entry into force of the contract and the timeframes. Also, the requirements that may or may not be considered in the wedding contract. Despite the fact that there are different literature or normative acts in this regard, the above-mentioned treaty is still subject to the research of civil law scientists based on its specificity.

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 6 |
| თავი I. საქორწინო ხელშეკრულება ისტორიულ-სამართლებრივ ჭრილში..... | 9 |
| თავი II. საქორწინო ხელშეკრულების ცნება მოქმედი კოდექსის მიხედვით.... | 14 |
| §2.1 მეუღლეთა არაქონებრივი უფლებები და კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი..... | 21 |
| §2.2 საქორწინო ხელშეკრულება საზღვარგარეთის ქვეყნების კოლიზიურ სამართალში და მისი როლი საერთაშორისო კერძო სამართლის სივრცეში..... | 37 |
| §2.3 საქორწინო ხელშეკრულებისადმი ქართული საზოგადოების მორალურ-სამართლებრივი დამოკიდებულება..... | 44 |
| თავი III. საქორწინო ხელშეკრულების დადების წესი..... | 47 |
| §3.1 საქორწინო ხელშეკრულების დადება, ფორმა და შინაარსი..... | 47 |
| §3.2 საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა, შეწყვეტა, ბათილად ცნობა..... | 55 |
| დასკვნა..... | 60 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 65 |

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო კონტრაქტი, რომლითაც განისზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

აღნიშნული თემით, ჩემი დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ საქართველოში განქორწინების მზარდი დინამიკა¹. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად მსოფლიოში ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით მთავრდება.² მისი თანმხლები სასამართლო დავები, დიდი ტკივილის მომტანია კონფლიქტში მონაწილე მხარეებისა და მათი ახლობლებისათვის. მზარდი განქორწინების მაჩვენებელი არაერთი სოციალური ფაქტორებიდან არის გამომწვეული, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის პასუხისმგებლობის ნაკლებობა ოჯახის მართვის სფეროში. შეყვარებული წყვილი

¹ 1.<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba>

² <https://www.smartlaw.de/>

დაუშვებლად მიიჩნევს, რომ ისინი მომავალში შეიძლება ერთად არ იყვნენ. ასევე ხშირია ანგარებით ქორწინებებიც, როდესაც ერთ-ერთ მხარეს წინასწარ აქვს განზრახული განქორწინება, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით. საქორწინო კონტრაქტი არის ერთგვარი დამცავი მექანიზმი, მასში შესაძლებელია ზემოხსენებული საკითხები და სხვა წვრილმანებიც წინასწარ დარეგულირდეს.

პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, როდესაც სახეზეა საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი ნორმებით დარეგულირებული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს. ამ დროს დღის წესრიგში დგება გამოსაყენებელი სამართლის სწორად შერჩევის საკითხი.

შექმნილი პრობლემები აქტუალურს ხდის, ამა თუ იმ საკითხს საოჯახო-სამართალში კერძოდ, საქორწინო კონტრაქტის საკითხს. სამუხაროდ, მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც საქორწინო კონტრაქტიდან გამომდინარეობენ ზოგ შემთხვევაში თავისი ზედაპირულობისა და მთელი რიგი ხარვეზების გამო ქმნიან ნორმათა არასწორი ინტერპრეტაციის ნოყიერ ნიადაგს. გარდა ამისა, საკითხის არასრულყოფილად ჩამოყალიბება თავად წარმოშობს გარდაუვალ კონფლიქტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხდება მყარი სამოქალაქო ბრუნვის მტერი.³

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ნაკვლევი, როგორც საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის შედარების საფუძველზე, ასევე სხვა საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი ნორმატიული აქტების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე. ასევე გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკაც.

საქორწინო კონტრაქტი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მეტ-ნაკლებად ნაკვლევი, მაგრამ ეს საკითხი უფრო მეტ განვრცობასა და შესწავლას

³ თ ზოიძე, „მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი“, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი პირველი, თბილისი, 2004 წელი, გვ. 26.

საჭიროებს, რადგანაც საბაზრო-ეკონომიკის პირობებში, როცა ყველაფერი კერძო საკუთრების უზენაეს პრინციპზეა დაფუძნებული, მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების დარეგულირება სამართლებრივ ჩარჩოებში აქტუალურ სახეს იძენს.

სამაგისტრო ნაშრომის სუბიექტები არიან მეუღლეები ან დასაქორწინებელი პირები, რომლებიც სამოქალაქო უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი საქორწინო გარიგების დადებაზე. სამოქალაქო ნაშრომის ობიექტია საქორწინო კონტრაქტი და მისი სამართლებრივი ბუნება.

ნაშრომში კვლევისას ფართოდ არის გამოყენებული როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურიდან ამონარიდები, რომლებიც დამეხმარა თემის უკეთ წარმოჩენაში. ნაშრომში განმარტებულია საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ელემენტების ჩემეული ვარიანტი, საქორწინო კონტრაქტის, როგორც სამართლებრივი ცნების ჩემეული ვერსია.

ნაშრომი შედგება 71 გვერდის, ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა, ხუთი პარაგრაფისა და დასკვნისაგან, ასევე ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და საქორწინო კონტრაქტის ნიმუში.

თავი I საქორწინო ხელშეკრულება ისტორიულ სამართლებრივ ჭრილში

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია, თუმცა იგი თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია როგორც სიახლე, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული. მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებლო რეჟიმის დანესება სათავეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს. ადრინდელ დროში ჩვეულებრივი მოვლენა იყო წყვილებს შორის საქორწინო ხელშეკრულების დადება, რაც საძრახისად ან სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. მომავლის „დაზღვევა,“ შეიძლება ითქვას, გავრცელებული იყო, თუმცა ისინი ძირითადად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზეპირი ფორმით იღებოდა.

მეცნიერთა აზრი ბოლომდე არ არის შეჯერებული საქორწინო ხელშეკრულების წარმოშობის საკითხზე. ერთი ნაწილის აზრით, ის მეოცე საუკუნის

ნაყოფია, მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ ის სათავეს საუკუნეების წინ იღებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ღრმა რწმენით, მკვლევართა მეორე ნაწილის აზრი უფრო ძლიერად არის გამყარებული არგუმენტებითა და ფაქტებით.

მეცნიერთა იმ ნაწილის საწინააღმდეგოდ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქორწინო ხელშეკრულების წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მის დადებად ნავარაუდები აქვთ 1905-1915 წლების პერიოდი⁴, გ.თუმანიშვილს საკუთარ მონოგრაფიაში⁵, რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი მოჰყავს არგუმენტად. თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ თითოეულ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გ.თუმანიშვილი ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში ექვს ისტორიულ ფაქტს ასახელებს განსხვავებული აზრის მქონე ოპონენტების საპირწონედ. ესენი გახლავთ: 1905 წლის ჰაავის კონვენცია; 1882 წლის ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული სპეციალური კანონი „გათხოვილი ქალების ქონების შესახებ“, გათხოვილ ქალებს მიეცათ უფლება, გაეფორმებინათ ხელშეკრულებები ქონებაზე, მემკვიდრეობით გადაეცათ იგი და სხვა; 1835 წელს გამოქვეყნებული ონორე დე ბალზაკის თხზულება, რომელის ერთ-ერთ ნაწილს ერქვა საქორწინო კონტრაქტი; 1754-1764 წლებში პორტუგალიელი ებრაელების მიერ შედგენილი საქორწინო კონტრაქტები, რომელთა რაოდენობა 10 ტომს შეადგენდა; 1538 წელს ლანდეროკის ერთ-ერთ დასახლებაში დადებული საქორწინო კონტრაქტი; 1893 წელს კუნძულ ელეფანტაინზე აღმოჩენილი პაპირუსის შეკვრები, რომლებიც მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესუთე საუკუნეს, ამ შეკვრებში მრავლად აღმოჩნდა სხვა ნაწერებთან ერთად საქორწინო კონტრაქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი საქორწინო კონტრაქტები მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი. ერთ-ერთი ასეთი ბედნიერი შემთვევა გახლავთ, გერმანიაში

⁴ გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამ. უნივერსალი, 2010 წ. გვ. 43.

⁵ იქვე. გვ. 44-46.

აღმოჩენილი საქორწინო კონტრაქტი⁶ ვინმე ჰანც ვილმერისა და მარგარიტა ვირცისა, რომელიც 1651 წლით თარიღდება. ვფიქრობთ, საინტერესოა თუ რა დათქმებს მოიცავდა და რა შინაარსის იყო მე-17 საუკუნის აღნიშნული კონტრაქტი.

კონტრაქტის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საქორწინო ცერემონიალი უნდა შედგეს ეკლესიაში ღვთისა და ხალხის წინაშე, ასეთი დათქმა, ერთი მხრივ რელიგიური ბუნების მატარებელია, მეორე მხრივ, სოციალურ კომპონენტსაც შეიცავს. სიძე და პატარძალი სიყვარულს, ერთგულებასა და საოჯახო მეურნეობაზე ზრუნვას ჰპირდებოდნენ ერთმანეთს. ასევე, თემში პატიოსან და მშვიდობიან თანაცხოვრებაზე იღებდნენ პასუხისმგებლობას.

მეორე პარაგრაფი ეხება მატერიალურ საკითხებს, ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, ქმრის მიერ ცოლის საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა.

კონტრაქტის მიხედვით ცოლი იძენს ქმრის ქონებით სარგებლობის უფლებას მასში განწერილია ისეთი საკითხიც, როგორიც არის, ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, რა თანხა უნდა მიიღოს ქვრივმა, ხოლო მარგარიტას უფრო ადრე გარდაცვალების შემთხვევაში, ჰანც ვილმერს რა ქონება უნდა დარჩეს ცოლის მიერ მზითევაში მოყოლილი ქონებიდან.

კონტრაქტის ბოლო პარაგრაფი არის ფორმალური ხასიათის, ის ორ ეგზემპლარად იწერება, ერთი ეგზემპლარი ცოლ-ქმარს ბარდება, ხოლო მეორე - სოფლის საქმეთა მმართველს. ის საქორწინო კონტრაქტს საკუთარი ბეჭედით ამოწმებს, ორი მოწმის თანდასწრებით.

ყველაზე ძველი საქორწინო კონტრაქტი აღმოჩენილი იქნა რამდენიმე წლის წინ. კერძოდ, 2017 წელს დღევანდელი თურქეთის ცენტრალურ ნაწილში⁷. იგი გახლავთ 4000 წლის წინანდელი, თიხის ფირფიტაზე ლურსმნული ტექსტით შედგენილი მსოფლიოში ჯერჯერობით უძველესი აღმოჩენილი ხელშეკრულება,

⁶ <https://www.hvw.ch/upload/pdf/monatsbeitrag/ehevertrag.pdf>

⁷ <https://www.realmofhistory.com/2017/11/22/oldest-marriage-contract-infertility/>

რომელშიც ჩანერილი აქვთ ისეთი მუხლები, რაც დღესაც კი გაკვირვებას იწვევს. ზემოაღნიშნული კონტრაქტის სუბიექტები გახლავთ ვინმე ლაქიპუმი და მისი მეუღლე ჰატალა, ისინი ხელშეკრულებაში თანხმდებიან იმაზე, რომ თუ მათ ორი წლის განმავლობაში არ ეყოლებათ შვილი, უფლება აქვთ სუროგაციის საშუალება გამოიყენონ. ლაქიპუმს შეეძლო ტყვე ქალისაგან გაეჩინა შვილი.

ასევე ძალიან საინტერესოა კონტრაქტში გათვალისწინებული ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც მათი გამორების შემთხვევას არეგულირებს. მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რომელი მხარე გადაწყვეტდა გამორებას, ასეთი შემთხვევაში, გამორების ინიციატორი ვალდებული იყო მეორე მხარისთვის გადაეხადა 5 ვერცხლის მონეტა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს, მეუღლეები თანასწორუფლებიანები იყვნენ და საოჯახო ურთიერთობებში ისინი სარგებლობდნენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებოდათ თანაბარი მოვალეობები. ეს აღმოჩენა, ჩვენი აზრით, საჭიროებს დიდ ყურადღებას. მასში და ზემოთ მოყვანილ სხვა არგუმენტებში ნათლად სჩანს მონაწილე მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი. ისინი გახლავთ სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეები და ხელშეკრულების დადებით საკუთარ ნებას თავისუფლად გამოხატავენ.

საქართველოს ისტორიიდანაც შეიძლება მაგალითების მოყვანა, მართალია ასეთი ოჯახები უფრო პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზით იქმნებოდა, მაგრამ ისინი მაინც არიან საქორწინო ხელშეკრულების ნიშნების მატარებლები. მაგალითისთვის გავიხსენოთ დავით აღმაშენებელი; ყივჩაღთა მეთაურის ასულის ცოლად შერთვის ერთ-ერთი მიზეზი ის გალდათ, რომ ყივჩაღ მეომრებს საქართველოს სამხედრო ძალებში უნდა ემსახურათ.

ზემოაღნიშნულ საქორწინო კონტრაქტებში არამართო ის სამართალმდგომარეობანი არის დარეგულირებული, რომლებიც მათ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ეხება, როგორც თანაცხოვრების პერიოდში, ასევე განქორწინების დროს და აგრეთვე, ერთობლივად შეძენილი ქონების მემკვიდრეობის

საკითხს, არამედ ასევე არაქონებრივი უფლებების საკითხებსაც. მაშასადამე, როგორც ჩანს, საქორწინო კონტრაქტის პირველი წერილობითი დოკუმენტი ძველ შუა აზიაში შეიქმნა და ის არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ან ევროპის მონაპოვარი.

თანამედროვე საქორწინო ხელშეკრულების საზღვარგარეთის პრაქტიკა წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, გლობალიზაციამ, ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლამ და ეკონომიკის განვითარებამ ხელი შეუწყო საქორწინო კონტრაქტს, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტის უფრო პრაქტიკულ სახეს. საბჭოური წესწყობილობის პერიოდში საქორწინო კონტრაქტის არსებობას აზრი არ ჰქონდა⁸, მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობები საკონტრაქტო წესით არ იდებოდა. დაქორწინებული ქალ-ვაჟი არ ფლობდა მატერიალურ ბაზას და გასაყოფიც არაფერი ქონდათ, თუმცა მისი ცალკეული ელემენტები მაინც არსებობდა.

დსთ-ს ბევრ ქვეყანაში გვხვდება საოჯახო სამართლის კოდექსი, რომელიც თავის მხრივ იცნობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს. აღნიშნულ ქვეყნებში პრობლემა დგას საოჯახო სამართლის საქმეებზე, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნების სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქორწინო ხელშეკრულება ორმაგი ხასიათის გარიგებაა: ერთის მხრივ ,სამოქალაქო-სამართლებრივი, ხოლო მეორეს მხრივ, საოჯახო-სამართლებრივი.

საქართველოში სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე დამოუკიდებელი სახით მოქმედებდა საქორწინო და საოჯახო კოდექსი⁹. დღეს უკვე საოჯახო სამართალი არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს, იგი გახლავთ სამოქალაქო სამართლის ქვედარგი.

⁸ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2004 წ. გვ. 183.

⁹ გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამ. უნივერსალი, 2010 წ. გვ. 43.

თავი II საქორწინო ხელშეკრულების ცნება მოქმედი კოდექსის მიხედვით

1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი. მას კოდექსში უკავია 1172-1181 მუხლები¹⁰. სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი

¹⁰ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით 2019 წლის მდგომარეობით).

განსაზღვრავს კონტრაქტის მხარეების ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის შეცვლის და შეწყვეტის საფუძველს.

საქორწინო კონტრაქტს, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში „ საოჯახო სამართალში “ აქვს ადგილი დაკავებული. მას ეძღვნება მეოთხე თავის მეოთხე პარაგრაფი. აქ მოცემული ათი მუხლი საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საოჯახო-სამართლებრივი ინსტიტუტის განსაზღვისათვის.

მართალია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობები რეგლამენტირებულია ათი მუხლით, მართალია მოცემული კოდექსი მეუღლეებს უფლებას აძლევს დადონ მხოლოდ ისეთი საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას, თუმცაღა ამ თემას დამოუკიდებლად შესაბამისი მუხლებიდან ვერ გამოვიკვლევთ, თუ საოჯახო სამართლის სხვა საკითხებსაც არ შევხებით. როგორცაა „მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობანი“, „ქორწინების შეწყვეტა“, „ქორწინების ბათილობა“ და სხვა. აქედან გამომდინარე, კონტრაქტის მხარეებს სრული უფლება აქვთ შეთანხმდნენ, როგორც ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე არაქონებრივზეც. სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი“, ანუ მეუღლეებს შეუძლიათ , საქორწინო კონტრაქტი თავიანთი შეხედულებისამებრ დადონ.

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, ისეთები როგორც არის: საკუთრება, ხელშეკრულების დადების თავისუფლება, სუბიექტები, ქმედუნარობა და სხვა, მოქმედებს მეუღლეთა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ვერ ექცევა საოჯახო სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგის ფარგლებში. ამის ნათელს ჰყვენს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო-სამართლის წიგნში მოცემული სამართლის ნორმა: „მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება), ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის ნაწილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე“¹¹. მეუღლეთა საერთო წილობრივი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება სსკ-ს სანივთო სამართლის წიგნში არსებული 173-ე მუხლის მიხედვით. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მეუღლეებს შეუძლიათ კონრაქტით განსაზღვრონ შემოსავლებში მონაწილეობის პირობები, თითოეულის მიერ საოჯახო ხარჯების განწესის წესი და ქონება, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს განქორწინების შემთხვევაში.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან ამა თუ იმ პირობების დადგომით.

მეუღლეები უფლებამოსილნი არიან, თავისთვის დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევების ან ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად, მიმდინარე შემოსავლები მომავალში იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, ხოლო სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული ქონება - განცალკევებული. ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ

¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წიგნი მესხეთე, მუხლი 1176-ის მესამე ნაწილი.

წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე, მათ შორის - საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, ხელშეკრულებაში მიუთითონ, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე ერთი მეუღლის წილი შეადგენს 1/4-ს, ხოლო მეორისა - 3/4-ს. ამავე დროს არ არის გამორიცხული, მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შეძენილი ქონება შეადგენდეს მის ინდივიდუალურ საკუთრებას¹².

საქორწინო ხელშეკრულება, რეგულირების შესაძლებლობით, მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებული მათ ნება-სურვილზე. ამ მხრივ, კანონის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ არსებობს¹³.

მართალია საქორწინო ხელშეკრულება იძლევა შესაძლებლობას, მეუღლეებმა (ან დასაქორწინებელმა პირებმა) თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, თუმცა დაუშვებელია, საქორწინო ხელშეკრულებით შეიცვალოს პირადი ქონებრივი ერთიანობის ხასიათი, კერძოდ, მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით და ზოგჯერ დაუკავშირდეს გარკვეული პირების არსებობას. მაგალითად, ხელშეკრულებით გაითვალისწინონ, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო მისი დაბადების შემდეგ საერთო ან პირიქით.

საქორწინო ქონტრაქტი ვერ დაარეგულირებს მეუღლეთა შორის პირადი ხასიათის ურთიერთობებს, მაგალითად, რომ ისინი ვალდებულებას იღებენ

¹² გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამ. უნივერსალი, 2010 წ. გვ. 90.

¹³ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 1999 წ. გვ. 78

სიკვდილამდე უყვარდეთ ერთმანეთი, არ იმუშაონ არჩეული პროფესიის მიხედვით და სხვა.

არ შეიძლება, მეუღლეებმა საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრონ გარდაცვალების შემდეგ ერთი მეუღლის მემკვიდრეობის მიღება დატოვება. ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის, ბატონი ვლადიმერ ჭანტურიაც მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტი გავს ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას¹⁴. მართალია მათ შორის მსგავსება დიდია, მაგრამ ცალსახად, ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებისადმი მიკუთვნება არ იქნებოდა სწორი. აღსანიშნავია, რომ ცივილისტ-მეცნიერთა მიერ ჯერ კიდევ არ არსებობს საქორწინო კონტრაქტის საბოლოოდ ჩამოყალიბებული დეფინიცია.

ჩვენი აზრით, საქორწინო ხელშეკრულება, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე საოჯახო-სამართლებრივი გარიგებაა, რადგან ის მხოლოდ პირთა კერძო წრეს, მეუღლეებს ეხება და არა ზოგადად პირთა განუსაზღვრელ წრეს.

საქორწინო ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ არის მექორწინეთა შეთანხმება ქონების რეგისტრაციის თაობაზე, ის აგრეთვე მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში და განქორწინების შემთხვევაში საქორწინო უფლებებისა და მოვალეობების განაწილების თაობაზე მეუღლეთა კონსენსუსია¹⁵.

საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტები არიან დასაქორწინებელი პირები (მეუღლეები), ისინი გარიგებათა შესახებ ზოგადი ნორმების მიხედვით საქორწინო კონტრაქტის დადებაზე უფლემოსილი ხდებიან თვრამეტი წლის ასაკიდან.

მაგრამ სამოქალაქო კოდექსი იძლევა შესაძლებლობას დაშვებულ იქნას გამონაკლისები. მაგალითად, შემზღუდულქმედუნარიან პირებს, რომლებსაც

¹⁴ გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამ. უნივერსალი, 2010 წ. გვ. 20.

¹⁵ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997 წ. გვ. 352.

შეუძლიათ გარიგების დადება კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობით, ან მათ მიერ დადებული გარიგების შემდგომი მოწონებით.¹⁶

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია დაქორწინება შედარებით პატარა ასაკში. დაქორწინება ქალისათვის 12 წლიდან იყო შესაძლებელია, ვაჟები 15 წლის ასაკიდან ქორწილდებოდნენ¹⁷. აღნიშნულის ფონზე საქართველოში მინიმალური საქორწინო ასაკის განსაზღვრის ამჟამად მოქმედი წესი არის წინ გადადგმული ნაბიჯი, სამოქალაქო კოდექსში საქორწინო ასაკად 18 წელია განსაზღვრული, მაგრამ იმავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს, რომ გამონაკლის შემთხვევებში 16 წლის ასაკიდან უფლება აქვს პირს იქორწინოს. ამისთვის საჭიროა, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობა.

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს პირის ავადმყოფობა, ორსულობა, საზღვარგარეთ სამუდამოდ ან დროებით გამგზავრება და სხვა.

ბუნებრივია, რომ 18 წლის ასაკს მიღწეულ პირებს, როგორც სრულწლოვანებს, რომლებიც დამოუკიდებლად დებენ გარიგებებს, საქორწინო ხელშეკრულების დადებაც თავისუფლად შეუძლიათ. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც დაქორწინდებიან 16-დან 18 წლამდე სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით, ისინი კერძო სამართალში ქმედუნარიანობას იძენენ და საქორწინო კონტრაქტზე ხელმოწერის უფლებით აღიჭურვებიან. თუმცა როცა არასრულწლოვან პირს დაქორწინების უფლებას აძლევს სასამართლო, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქორწინო კონტრაქტის დადება შეუძლია. კონტრაქტის დადების უფლებას იძენს არასრულწლოვანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, წიგნი პირველი, მუხლი 63-ის პირველი ნაწილი..

¹⁷ რ. შენგელია, ე. შენგელია, თბილისი, საოჯახო სამართალი, გამ. მერიდიანი, 2009 წ. გვ. 75

თავის გადანყვეტილებაში სპეციალურდ მიუთითებს ამის შესახებ. მაგრამ ამის აუცილებლობა არ დგას რამდენიმე მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შედის დაქორწინების მომენტიდან. შემდეგი მიზეზია ის, რომ რეგისტრაციის მომენტიდან არასრულწლოვანი პირი სრული ქმედუნარიანი ხდება, აქ აღვილი აქვს იურიდიულ ფიქციას. აქედან გამომდინარე, მის გამოვლენილ ნებას საქორწინო კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებით, არავის დადასტურებას არ საჭიროებს. ასევე ქორწინების რეგისტრაციიდან ძალაში შესული ხელშეკრულება ლახავს არასრულწლოვანი მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, მისი გაბათილება ძალაში შესვლის მომენტიდან შესაძლებელია. ხოლო თუ ის სარგებელს იღებს, სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით არ დგება ხელშეკრულების გაბათილების საკითხი და არ არის საჭირო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

ქმედუნარო სრულწლოვან პირებს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. რაც შეეხება ქმედუნარიან სრულწლოვან პირს, რომელსაც თავისივე თხოვნის საფუძვლზე დაენიშნა მზრუნველი, შეუძლია დაქორწინებამდე დადოს საქორწინო კონტრაქტი.

საქორწინო კონტრაქტზე საუბრისას არ შეიძლება განყენებულად მივიჩნიოთ ისეთი საკითხები, როგორებიც არის: „ ოჯახი “ და „ ქორწილი “. ქორწინების საფუძვლად სიმბულურად შეიძლება მივიჩნიოთ პირველი ადამიანების, ადამისა და ევას შექმნა.

ქორწინება ოჯახის შექმნის უძველესი წესია, რომელიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ქალსა და მამაკაცს შორის სქესობრივი ურთიერთობების მონესრიგებისა და შთამომავლობის გაგრძელების საშუალებაა¹⁸.

¹⁸ გ.ლობჯანიძე, რომის სახელმწიფო სამართალი, II, თბილისი, 2009 წ. გვ. 43.

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე ქორწინების ცნება არ არსებობდა იურიდიულ ლიტერატურაში. საქორწინო კანონმდებლობით დადგენილი ქორწინების ცნების დეფინიციის არსებობას ცალკეული ავტორები იმით ხსნიდნენ, რომ ქორწინება არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეთნიკური ნორმებისა და ეკონომიკური კანონების ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომპლექსური სოციალური მოვლენაა, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა მისი განსაზღვრის მართებულობას მხოლოდ სამართლებრივი პოზიციებიდან, მით უმეტეს შეუძლებელია ქორწინების სულიერი და ფიზიკური ელემენტების სამართლებრივი გზით რეგულირება. ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც სახელმწიფოს რეგისტრაციის მომენტიდან შედის ძალაში. ქორწინებისათვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნების გათვალისწინებით, კანონმდებელს საშუალება მიეცა შემოეთავაზებინა ქორწინების შემდეგნაირი განსაზღვრება: ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირია ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც მყარდება კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით, წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.¹⁹

რომის სამართლის მიხედვით, ქორწინება (nuptiae) ანუ ცოლქმრობა ნიშნავდა, მამაკაცისა და ქალის კავშირს, რომლის არსი ერთობლივ ცხოვრებაში მდგომარეობდა.²⁰ ეს შეხედულება ეფუძნებოდა ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოჯახის შექმნის ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვის დაბადება და გაზრდა. ასეთი დამოკიდებულება არა მხოლოდ საბჭოთა საოჯახო სამართლისათვის, არამედ აისახებოდა საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაზეც²¹. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ მხოლოდ სიყვარულსა და ნდობაზე დაფუძნებული

¹⁹ რ. შენგელია, საოჯახო სამართლის კომენტარი, თბილისი, 1999წ. გვ. 3-6.

²⁰ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2002 წ. გვ. 23-24.

²¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზ: ტ VII (ის. დოლიძის რედ.) თსუ. თბილისი, გვ. 269.

ნებაყოფლობითი ქორწინება შეიძლება იყოს მტკიცე და ხანგრძლივი. რაც შეეხება ოჯახს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ის თურქული წარმოშობის სიტყვაა და კერას, სახლს აღნიშნავდა¹⁸. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ სიტყვა „ოჯახი“, როგორც ტერმინი პირველად 1799-1880 წწ-ით თარიღდება. სოციალური გაგებით, ოჯახი არის პირთა ქორწინება, ნათესაობასა და ბავშვების აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი. ოჯახი, როგორც კატეგორია, განეკუთვნება სოციალურ, ფილოსოფიურ, ასევე ისტორიულ კატეგორიათა რიცხვს. ფილოსოფიურ ლექსიკონებში ოჯახი განმარტებულია, როგორც საზოგადოების უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი), პირადი ცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც ემყარება ცოლ-ქმრულ კავშირსა და ნათესაურ კავშირებს. ოჯახის ცხოვრება ხასიათდება სხვადასხვა მატერიალური (ბიოლოგიური, სამეურნეო) და სულიერი (ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ესთეტიური) პროცესებით. ოჯახის სოციალურ როლს განსაზღვრავს უშუალო მონაწილეობა თვითონ ადამიანის კვლავ წარმოებაში. იურიდიულ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში ოჯახის ცნების ძიებისას თქვენ მრავლად წააწყდებით ისეთ განმარტებებს, როგორიც არის: ოჯახი-ტერმინი, ფართოდ გამოიყენება სამართლებრივ დოკუმენტებში და ნორმატიულ აქტებში, მას გააჩნია სოციალური და არა სამართლებრივი ხასიათი. სამართლის სხვადასხვა დარგებში ან ქვედარგებში მასში (ოჯახის ტერმინი) შესაძლებელია გამოიყენებოდეს განსხვავებული მნიშვნელობით²² სამწუხაროდ, ქართული სამოქალაქო სამართალი არ გვაძლევს „ოჯახის“ დეფინიციას. იგი ამ ცნებას არ იცნობს.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას²³.

§2.1 მეუღლეთა არაქონებრივი უფლებები და კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი.

²² გ.თუმანიშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამ. უნივერსალი, 2010 წ. გვ. 23.

²³ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წელი, მუხლი 30-ე.

სამოქალაქო კოდექსი საოჯახო სამართალში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეუღლეთა არაქონებრივ უფლებებსა კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს კანონმდებელი ჰყოფს შემდეგნაირად: ზოგად დებულებებად, პირად უფლებებად, კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებად და მოვალეობებად, საქორწინო კონტრაქტად და მეუღლეთა რჩენის მოვალეობად.

სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლში კანონმდებელი ხაზს უსვამს ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობას და ამბობს, რომ „მეუღლეთა უფლება მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება“, რაც იმას მიუთითებს, რომ საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგება და მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის.

მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივ რეგლამენტაციამდე, კანონმდებელი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის საკითხზე და განმარტავს, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და მოვალეობებით.

მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი კონსტიტუციური პრინციპია.

კანონმდებელი ასევე კრძალავს დისკრიმინაციას და განმარტავს, რომ საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობის და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.

პირადი ურთიერთობანი მეუღლეს შორის - მეუღლეთა შორის ურთიერთობაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია პირად ურთიერთობებს.

ქორწინება მეუღლეთა პირადი კავშირია, რასაც უღევს ურთიერთპატივისცემა და მტკიცე ოჯახის შექმნის სურვილი²⁴, სამოქალაქო კანონმდებლობა მეუღლეთა პირად ურთიერთობებზე საუბრისას გამოყოფს ოთხ ძირითად უფლებას, რომელთაც განეკუთვნება მეუღლეთა პირადი უფლებები, ესენი გახლავთ: გვარის არჩევის უფლება, საქმიანობის და პროფესიის თავისუფლად არჩევის უფლება, საოჯახო საკითხების ერთად გადაწყვეტის უფლება, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება.

თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

გვარის არჩევის უფლება - დაქორწინებისას მეუღლეები თავიანთი სურვილის მიხედვით ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს ან თითოეული მათგანი ინარჩუნებს ქორწინებამდე გვარს. ასევე დასაშვებია გვარების შეერთებაც. მაგრამ იკრძალება გვარების შეერთება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუღლეს ან ორივეს ქორწინების მომენტისათვის უკვე აქვს ორმაგი გვარი. ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა არ ნიშნავს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლასაც. მათი ნებაა, განქორწინების შემდგომ ან ატარონ ქორწინების დროს მიღებული გვარი, ან სასამართლოს მეშვეობით აღიდგინონ ქორწინებამდელი გვარი. ასეთ დროს მეორე მეუღლის ნებას მნიშვნელობა არ აქვს²⁵.

გვარის არჩევის უფლება მეუღლეებს ეძლევათ ქორწინების რეგისტრაციის მომენტამდე, შემდეგ კი გვარის შეცვლა შეიძლება საერთო საწყისებზე.

საქმიანობის და პროფესიის თავისუფლად არჩევის უფლება - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1156-ე მუხლის მიხედვით, საქმიანობასა და პროფესიის არჩევის საკითხში მეუღლეები თავისუფლები არიან. მართალია მეუღლეები საოჯახო საქმეებს ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ, მაგრამ არსებობს გარკვეული საკითხები,

²⁴ რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამ. მერიდინი, 2015 წ. გვ. 112

²⁵ ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, თბილისი, ჟურნალი „სამართალი“, 2002წ. N5-6, გვ. 35

რომლებსაც ისინი დამოუკიდებლად აგვარებენ. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ პროფესიის და საქმიანობის არჩევა. ამ საკითხში ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის შეზღუდვა ან/და უხეში ჩარევა, რომ მან არ აირჩიოს მისთვის სასურველი და მისაღები პროფესია და საქმიანობა კანონით აკრძალულია.

საოჯახო საკითხების ერთად გადაწყვეტის უფლება - ოჯახში არსებული ყველა საკითხი, რაც ოჯახის საქმეებს ეხება, მეუღლეებმა ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყვიტონ. საოჯახო საკითხების ცნებას კანონმდებელი არ იძლევა და არც იურიდიულ ლიტერატურაშია ერთიანი მოსაზრება ჩამოყალიბებული. ჩვენი აზრით, საოჯახო საკითხების ცნებას, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება შვილების აღზრდის საკითხი.

საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება - ეს უფლება მიუთითებს იმას, რომ თითოეული მეუღლეს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება თუ სად იცხოვრებს. უმრავლეს შემთხვევაში, ცოლი გადადის ქმართან საცხოვრებლად, თვით ტერმინიც „ცოლი მოვიყვანე“ ამაზე მიუთითებს. მაგრამ მეუღლეების სურვილის შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტენ ცალკე ცხოვრებას, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათ სურვილი არ აქვთ იყვნენ ქორწინებაში. ერთ-ერთი მეუღლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ იწვევს ავტომატურად მეორე მეუღლის ვალდებულებას, ასევე შეიცვალოს საკუთარი საცხოვრებელი ადგილი.²⁶ მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრება ოჯახის ინტერესებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

დავის შემთხვევაში (არ ვგულისხმობთ დავას მეუღლეთა განქორწინების შესახებ), ეწინააღმდეგება თუ არა მეუღლის ცალკე ცხოვრება ოჯახის საერთო ინტერესებს უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ, რაც მართებულად მიგვაჩნია, რადგან გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას კონკრეტული ქეისიდან გამომდინარე. არის შემთხვევები, როდესაც მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება შვილებზე უარყოფითად

²⁶ Газета „Аргументы и Факты“, N39, 9 августа 2002.

აისახება. ასევე არის შემთხვევები, როდესაც პირიქით მეუღლეთა ერთად ცხოვრება იწვევს ბავშვებში დეპრესიას, შიშებსა და სხვა კომპლექსებს.

ამ მხრივ, უფრო მკაცრია გერმანიის კანონმდებლობა, რომელიც თვლის, რომ მშობლები ერთად უნდა ცხოვრობდნენ და ერთად უნდა ზრდიდნენ შვილებს.

მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები საოჯახო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც ოჯახის შექმნას ედება საფუძვლად. მეუღლეებს თავიანთი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული ქონება სჭირდებათ.

მეუღლეთა შორის კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობათა შინაარსის გარკვევა, მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის საშუალებას წარმოადგენს.

ქორწინებით მეუღლეები გამოხატავენ არამარტო ერთმანეთთან ოჯახის შექმნის ნებას, არამედ ისინი ადასტურებენ თანხმობას იმის შესახებ, რომ მათი თანაცხოვრების პერიოდში შექმნილ ქონებაზე გავრცელებული იქნას სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც კანონით დადგენილ მეუღლეთა ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს (თუ მათ შორის საქორწინო კონტრაქტით სხვა რამე არ არის დადგენილი) არეგულირებს.

რეგისტრირებული ქორწინებიდან, რომელიც არის საფუძველი პირადი და არაქონებრივი უფლებების წარმოშობისა, ამ მომენტიდან მეუღლეებს გააჩნიათ პირადი და ქონებრივი უფლებები²⁷.

ქონებრივი უფლებები იყოფა ინდივიდუალური და თანაზომიერი საკუთრების სახით, მათ არეგულირებს სამოქალაქოს სამართლის სპეციალური ნორმები. უნდა აღინიშნოს, რომ შ. ჩიკვიშვილი ტერმინებს „ინდივიდუალური“ და „განცალკევებული“

²⁷ ბ. ზოიძის ევროპული სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, გამომცემელი საქმის სასწავლო ცენტრი, 2005 წ. გვ. 293

იყენებს სინონიმებად²⁸, რაც სწორად მიგვაჩნია, თუმცა მეცნიერთა ნაწილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და თვლის, რომ განცალკევებული ქონება თავის თავში არის ინდივიდუალური საკუთრების, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის შემცველი. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1158-ეს მუხლი ადგენს თუ რომელი ქონება ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, აღნიშნული მუხლის დათქმა გახლავთ შემდეგი: 1- მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 2- ასეთ ქონებზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ნებისმიერი მეუღლის მიერ შეძენილ ქონებაში იგულისხმება, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება და არანაირ როლს არ თამაშობს თუ რომელი მეუღლის მიერ არის ის შეძენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე და 1162-ე მუხლები გახლავთ გამონაკლისი, რომლებიც განსაზღვრავენ მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას. უნდა აღინიშნოს ერთი საკითხი, რომელიც ეხება მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის გასხვისების თავისებურებებს. როდესაც მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქორწინო ხელშეკრულებით, ეს გარემოება არ ზღუდავს მათ უფლებებს, დადონ ამა თუ იმ უძრავი ქონების შეძენის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც უფლებრივად განსხვავებული იქნება საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილი პრობებისაგან. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულების პირობებით დადგენილია, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ბინა იქნება მხოლოდ ქმრის საკუთრება. ასეთ

²⁸ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004 წ. გვ. 125

შემთხვევაში ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებით მესაკუთრედ მიეთითება ქმარი, შესაბამისად საჯარო რეესტრშიც მოხდება მისი მესაკუთრედ რეგისტრაცია. ვინაიდან არსებობს საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილი პირობა, ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებით საჯარო რეესტრის წესით გაფორმებისას, საჭირო აღარ იქნება ცოლის თანხმობა შეძენილ ბინაზე ქმრის მესაკუთრედ აღიარებისათვის. საქორწინო კონტრაქტით დადგენილი ზემოაღნიშნული პირობების მიუხედავად, მეუღლეებს უფლება აქვთ ბინა შეიძინონ თანაზიარი საკუთრების უფლებით.

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი სპეციალურია. თუმცა არსებობს ასევე 183-ე მუხლი, რომელიც სპეციალურია და რომლის თანახმად უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია მხარეთა წერილობითი ხელშეკრულება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ასევე შემძენს. აღნიშნული ნორმა, როგორც ვხედავთ მოითხოვს იმპერატიულად მესაკუთრის რეგისტრაციას და შესაბამისად, მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირი ითვლება უძრავი ქონების მესაკუთრედ. გამოდის რომ: 183-ე და 1158-ე მუხლების შინაარსიდან ირკვევა, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონებისა და მათ შორის საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უნდა იყოს ორივე მეუღლე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მეუღლემ შეიძინა ერთობლივად საერთო სახსრებით ბინა, მაგრამ საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლე დარეგისტრირდა მესაკუთრედ, მაშინ მეუღლე დავის შემთხვევაში ბინის მესაკუთრე ვერ გახდება. ზოიძის მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ თუ დავუშვებთ, რომ საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრეზე რეგისტრირებული ერთ-ერთი მეუღლის ქონება სხვა პირის თანასაკუთრებასაა, მიუხედავად ამისა, რომ ეს სხვა პირი არ არის მესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, მაშინ საჯარო რეესტრი ფუნქციას კარგავს და მესამე პირის ინტერესები სრულიად იგნორირებულია. აზრს კარგავს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლიც, რომელიც ადგენს შემძენის

ინტერესების დაცვის სამართლიან მექანიზმს²⁹. სამოქალაქო კოდექსის 185 მუხლის თანახმად კი, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ³⁰, თუ იგი ასეთად არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კანონმდებლობა იცავს მხოლოდ მესამე პირთა ინტერესებს და უგულებელყოფილია იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც საჯარო რეესტრში არ არის მესაკუთრედ დარეგისტრირებული.

უძრავი ქონების შეძენისას ორივე მეუღლის შემთხვევაში, მაგრამ ერთ-ერთის რეგისტრაციისას (როცა ფაქტიურად რეგისტრირებული პირი ხდება მესაკუთრე), ირლვევა მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესი. სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი ადგენს, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე მელღეთა საერთო საკუთრება, სრულიად ეწინააღმდეგება სსკ 183-ე მუხლის დანაწესს, რომ უძრავი ქონების შემძენად მხოლოდ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული პირი ითვლება. ეს ორი მუხლი შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან. ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ხარვეზიდან გამომდინარე, ქორწინების პერიოდში შეძენილ ბინაზე, ან სხვა უძრავ ქონებაზე უკანონოდ მინიჭებული თანაზიარი საკუთრების უფლების მოპოვება მეუღლეებს უწევთ სასამართლოს გზით. სამომავლოდ, ეს ხარვეზი კანონმდებელმა უნდა გამოასწოროს.

კონსტიტუციის 30-ე მუხლში მეუღლეთა უფლებების თანასწორობაზეა საუბარი. სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვას ურთიერთშეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ეს მუხლი ადგენს გარკვეულწილად, მეორე მეუღლის თანხმობის პრეზუმციას, რაც ზოგჯერ შეიძლება ერთ-ერთი მეუღლისათვის

²⁹ ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბ, 2004 წ. გვ. 27

³⁰ თ. ჩიტოშვილი, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, გამომცემლობა სპექტრი, თბილისი, 2006 წ. გვ. 67-68

გაუთვალისწინებელი შედეგებით დამთავრდეს. მაგალითად, თუ მეუღლეებმა ბინის შეძენაში თანხა თანაბარწლად გადაიხადეს, მესაკუთრედ კი ქმარია რეგისტრირებული და თუ კი იგი არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდება მას თავისუფლად შეუძლია მითვისოს მეორე მეუღლის საკუთრებაში არსებული წილი.³¹ ამის საშუალებას მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი აძლევს, რომელიც სხვანაირად უნდა ჩამოყალიბდეს. აღნიშნულის აუცილებლობა არაერთი სასამართლო პრაქტიკით³² მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე ის ქონება, რომლებიც მეუღლეებს ერთობლივად აქვთ გამოყენებული კომერციული იურიდიული პირების დაფუძნებისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეუღლეები ქონების იურიდიულ პირში დაბანდებისას კარგავენ მასზე უფლებას, რამეთუ ეს ქონება, კანონით იურიდიული პირის საკუთრებად ცხადდება (საქართველოს 1994 წლის კანონი „მენარმეთა შესახებ“). ამ ქონებაზე მათ არავითარი მოთხოვნის უფლება არა აქვთ, მაგრამ მათ შეუძლიათ დივიდენდები (მოგება) მიიღონ, ამ დივიდენდების განკარგვის უფლებაზე ორივე მათგანი თანაბარუფლებამოსილია, ერთის მიერ განკარგვის შემთხვევაში, მეორეს თანხმობაა საჭირო. ეს მოძრავი ქონების შემთხვევაში, მაგრამ ხშირად საქორწინო ხელშეკრულება ვერაფერი დახმარება იქნება უძრავ ქონებასთან მიმართებაში, რადგან სპეციალური ნორმები უფრო ძლიერია ვიდრე კონტრაქტი. სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლში განსაზღვრულია თითოეული მეუღლის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც: ა) შეადგენს დაქორწინებამდე არსებულ ქონებას, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა და, ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. ასეთი ქონება თითოეული მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებაა

³¹ ჩვენ არ ვეთანხმებით გ. თუმანიშვილის მოსაზრებას (დასახელებული ნაშრომი გვერდი 59) იმის შესახებ, რომ სადაც იგი წერს, რომ თუ ერთ-ერთი მეუღლე დარეგისტრირდება უძრავი ქონების მესაკუთრედ, მეორეც ავტომატურად მესაკუთრეა, თუკი უძრავი ქონება ორივეს სახსრებითაა შეძენილი.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეები, თბილისი, 2009 წ. გვ. 7

„ქორწინების მომენტთან მეუღლეთა ქონების ინდივიდუალური თუ თანაზიარი საკუთრების ხასიათის დაკავშირება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინების შემდეგ შექმნილი ყველა სახის ქონება აუცილებლად თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. თანაზიარი იქნება მხოლოდ ის ქონება, რომელიც შექმნილია მეუღლეთა საერთო სახსრებით და განკუთვნილია საერთო სარგებლობისათვის, შესაძლებელია ისიც, რომ ერთ-ერთი მეუღლის განმგებლობაში აღმოჩნდეს ისეთი ქონება, რომელიც მოკლებულია ინდივიდუალური მოქმედების ხასიათს. მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა, ფულადი სახსრები და სხვა. ასეთი ქონება ჩაითვლება ინდივიდუალურ საკუთრებად და თუ იგი მან მიიღო მემკვიდრეობით ან ჩუქებით“³³.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შესაძლებელია სამკვიდროს დამტოვებელმა ქონება მემკვიდრეობით დაუტოვოს ორივე მეუღლეს, ან ქონების გამჩუქებელმა მეუღლეები დაასაჩუქროს. ასეთ შემთხვევაში მიღებული ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა ჩაითვალოს. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებზე ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შექმნილი, კანონი გამორიცხავს თანასაკუთრების კატეგორიიდან. პრაქტიკაში დამკვიდრებული გაგებით ძვირფასეულობა, რომლებიც არაა განკუთვნილი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები და სხვა, მიუხედავად ამისა, რომ იგი შეიძლება განკუთვნილი იყოს რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. დავა იმის შესახებ, მიეკუთვნება ესა თუ ის ნივთი ძვირფასეულობას უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

³³ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, თბილისი, გამომც. იურისტების სამყარო, 2016 წ. გვ. 112

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის დათქმით, თითოეული მეუღლის ქონება შესაძლებელია ჩაითვალოს მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებად, ეს იმ შემთხვევაში მოხდება თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განუღივლი ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვად გადიდა, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამე აქვთ გათვალისწინებული. მაგალითად, მეუღლეები შეიძლება შეთანხმდნენ საქორწინო ხელშეკრულებით, რომ ინდივიდუალური საკუთრების ყველა ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებად. საქორწინო კონტრაქტით, შეიძლება ინდივიდუალურ საკუთრებად მიჩნეული იქნეს ქონების ის ნაწილი, რომელსაც თითოეული მეუღლე შეიძენს თავისთვის და გამოიყენებს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი ქონების გაყოფა არ შეიძლება.

ქორწინების პერიოდში საერთო ქონების ან მისი ნაწილის გაყოფის შესახებ შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ნეულლეთა სურვილის საფუძველზე გაუქმებულ იქნეს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა განცალკევებული ქონება კვლავ ჩაითვლება თანაზიარ საკუთრებად³⁴.

სამოქალაქო კოდექსის 1165-ე მუხლში კანონმდებელმა წინასწარ განსაზღვრა თანაზიარ საკუთრებაში არსებული ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა. ამგვარ ქონებას კანონმდებელი „პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს“ უწოდებს და ამბობს, რომ თუნდაც, ისინი ქორწინების განმავლობაში იყოს შექმნილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთების თავიანთი საქმიანობისათვის სჭირდება, როგორც არის, მუსიკოსთვის - მუსიკალური ინსტრუმენტები, ექიმისთვის - საექიმო კაბინეტის მონაცობილობა,

³⁴ გ.გოლიაშვილი, მეუღლეთა თანასაკუთრება, თბილისი, ჟურნალი „საქართველოს ნოტარი“, 2002წ. გვ.23

სპორტსმენისთვის - სპორტული ინვენტარი და ა.შ. თუ საერთო ქონების გაყოფისას, ერთ-ერთ მეუღლეს ის ნივთები გადაეცემა, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ, მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლში კანონმდებელი ითვალისწინებს არასრულწლოვანი შვილების ინტერესებსაც. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყის არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები ან უნდა იცხოვრონ, რომ ის შრომისუუნაროა და მეორე მეუღლე უარს ამბობს მატერიალურ დახმარებაზე³⁵, ანდა თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. რაც შეეხება მშობლების მიერ შვილების სასარგებლოდ ბანკში ანაბრის გახსნას (მესამე პირთა სასარგებლო დადებული ხელშეკრულება), რომლითაც შვილები ისარგებლებენ მას შემდეგ, რაც ისინი გახდებიან სრულწლოვანები, აღნიშნული ქონების თანამესაკუთრეები ვერ გახდებიან მშობლები. მაგრამ აქ კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ მეუღლეებმა, რომლებმაც გააკეთეს დათქმა მესამე პირთა სასარგებლოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე და 351-ე მუხლების საშუალებით, შეუძლიათ შეცვალონ მესამე პირი, ან თვითონ მოითხოვონ შესრულების მიღება. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი სარგებელს მიიღებენ შეტანილი წილის თანაბრობის პრინციპით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1169-ე მუხლის თანახმად, „მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის

³⁵ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2004 წ. გვ.137

თანაზომიერად“. ხოლო სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცეული ქონება, საბანკო ანაბრები, აქციები და სხვა რაიმე ქონებრივი წილი, რომელიც გახსნილია ან შექმნილია ქორწინების განმავლობაში, ასევე პროცენტები (დივიდენდები) მათზე, როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემთხვევაშიც წარმოადგენს იმ მეუღლის საკუთრებას, რომლის სახელზეც არის გაფორმებული ეს ქონება. საბანკო პროცენტებისა და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით შეიძლება მეუღლეთა შორის ცალკე შეთანხმება.

მნიშვნელოვანია ასევე არასრულწლოვანი შვილის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის საკითხი რომელიც წარმოიშვება კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე და მეუღლეთა ქონებაზე გადახდის მიქცევა ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე³⁶. შეიძლება თუ არა მეუღლეებმა არასრულწლოვანი შვილების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი საქორწინო კონტრაქტში გაითვალისწინონ? მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილით კანონმდებელი მშობლებს ავალდებულებს ზიანის ანაზღაურებაზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება), მათ უფლება აქვთ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი მშობელი საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვანი შვილის მიერ მიყენებული ზიანის კომპენსაციაზე დაზარალებულისათვის. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება მეუღლეთა მიერ ბავშვთა მიმართ მათი უფლებების და მოვალეობების რეგულირება.

განქორწინების შემთხვევაში, თუ მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მათ შორის არ ყოფილა გაყოფილი, იგი შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში

³⁶ გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ. 73

იყოს, ან თუნდაც ორივესთან ერთად, ცალ-ცალკე, არათანაბარი რაოდენობით. ამ შემთხვევაში ორივე განქორწინებულ მეუღლეს, აქვს ქონების თანაბარი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება ურთიერთშეთანხმებით. ამიტომ განქორწინება ყველა შემთხვევაში განსაზღვრულ უარყოფით გავლენას ახდენს ერთ-ერთ ან ორივე მეუღლის საკუთრებითი უფლებამოსილების განხორციელებაზე. რადგან ეს თითოეული მეუღლისათვის კარგად არის ცნობილი, ყოველგვარი გაურკვეველობა უნდა მოიხსნას განსაზღვრული დროის განმავლობაში. კანონი ადგენს სამწლიან ხანდაზმულობის ვადას იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფასთან, ამ ვადის დინება იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

მეუღლეების განქორწინების დროს მათ შორის დავის ძირითად საგანს წარმოადგენს თანაზიარი საკუთრების გაყოფა და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები. სამართლებრივი პრობლემებიც თავს უმეტეს შემთხვევაში სწორედ თანაზიარი საკუთრებასთან მიმართებით იჩენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრება), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მაგრამ კანონმდებლის მიერ დადგენილი ეს ნორმა სულაც არ ნიშნავს, რომ ქორწინების პერიოდში შექმნილ ქონებაზე ავტომატურად გავრცელდება ამ მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, თუ არ არის დაცული მთელი რიგი პირობებისა, ისეთი როგორიც არის, მაგალითად: კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ქორწინების რეგისტრაცია, ასევე სახეზე უნდა იყოს სპეციალური პირობები. კერძოდ, თანასაკუთრება წარმოიშობა იმ შემთხვევაში თუ: არ არსებობს საქორწინო კონტრაქტი, ან საქორწინო კონტრაქტით დადგენილი ნორმები არ გამორიცხავენ მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობას. ასევე სავალდებულოა ორივე მეუღლე ქონების თანამესაკუთრედ დარეგისტრირდეს

საჯარო რეესტრში, იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. ანუ მეუღლეთა ქონებაზე თანასაკუთრება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. ზოგჯერ პრობლემები იქმნება უძრავ ქონებასთან მიმართებით, მეუღლეთა თანასაკუთრების გასხვისებისას, მესამე პირთა (კეთილსინდისიერი შემძენის) ან ერთ-ერთი მეუღლის ინტერესების შელახვა.

ამ მხრივ საქართველოს მატერიალურ კანონმდებლობაში გვაქვს ხარვეზი.

როგორც ცნობილია, საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრიდან ვლინდება, აქედან გამომდინარე, თუ ორივე მეუღლე საჯარო რეესტრში არ არის დაფიქსირებული უძრავი ქონების თანამესაკუთრებად, ირღვევა მათი უფლებები და ასევე, ქონების გაყიდვის შემთხვევაში, მესამე პირის უფლებებიც. სამწუხაროდ, საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა არ ითხოვს საჯარო რეესტრში მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრედ ორივე მეუღლის აუცილებლად რეგისტრაციას.³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-მუხლი ადგენს შემდეგს: „1. იმ ქონების, განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. 2. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნის იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. 3. მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.” თუ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის გარდა ქონება მეორე მეუღლესაც ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით ის თანამესაკუთრედ არ ჩანს, მაშინ გამოდის, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობას ვერ დაეყრდნობა მესამე პირი და მისი ინტერესები არ იქნება დაცული. ასევე მეორე მეუღლეც ვერ იგრძნობს თავს ბოლომდე დაცულად, იმ რეალობიდან

³⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=22>

გამომდინარე, როცა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ან მის დაუკითხავად შეიძლება მაგალითად, ბინის გასხვისება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. კანონმდებელი მას უტოვებს მხოლოდ გასხვისებული ქონებით მიღებულ შემოსავალს.

თუ შევადარებთ საქართველოს კანონმდებლობას, სხვა ქვეყნის კანონმდებლობას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების ასპექტში, აშკარა გახდება მათი უპირატესობა, განსაკუთრებით უძრავი ქონების საკითხში.

მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი,³⁸ რომელიც არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის წყარო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, მეუღლეთა კანონის მიერ კანონისმიერ და სახელშეკრულებლო ქონებრივ ურთიერთობებს დეტალურად აწესრიგებს, გამორიცხავს მესამე პირთა ინტერესების დარღვევას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეესტრის ინსტიტუტი, რომელიც არის საჯარო და შესაძლებელია რეესტრიდან გამოთხოვილ იქნეს ჩანაწერის შესახებ ასლი. ეს ყველაფერი კი მესამე პირს ნათლად წარმოუჩინს რეალობას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების შესახებ, ის ხდება ინფორმირებული და გამორიცხავს თავისი უფლებების ხელყოფას. მსგავსად გერმანიისა, საფრანგეთის კანონმდებლობაც სრულყოფილად არეგულირებს მეუღლეთა საკუთრებით ურთიერთობებს.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა გამოსაყენებელი რეჟიმის შესახებ მითითება კეთდება ქორწინების განმავლობაში, მეუღლეები ვალდებული არიან მიიღონ ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პირობებისა და ნორმის შესაბამისი ზომები შერჩეული რეჟიმის საჯაროობის უზრუნველსაყოფად. მეუღლეები ფიქსირდებიან თანამესაკუთრებად და ეს საჯაროა მესამე პირთათვის.

³⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §1558-1563, გვ 274-275

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში³⁹ მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან მეუღლეთა მიერ საერთო მოძრავი და უძრავი ქონებისგან დაკავშირებული თავისებურებანი. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული და აგრეთვე, ისეთი გარიგებების დადებისას, რომლებიც ითხოვენ სავალდებულო სანოტარო წესით დამონმებას ან/და სახელმწიფო რეგისტრაციას. მათი დადებისათვის აუცილებელია ორივე მეუღლის აშკარად გამოხატული ნება. რუსეთის ფედერაციის საოჯახო კანონმდებლობის თანახმად ასეთი გარიგების დასადავად აუცილებელია თანხმობა უზრუნველყოფილი იყოს როგორც ნოტარიუსის, ისე იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ევალება უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებების სახელმწიფო რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ჩაითვლება ბათილად.

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებთან მიმართებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავისი ხედვა აქვს ჩამოყალიბებული. პრაქტიკაში პრიორიტეტი საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციას ენიჭება. ასევე წინა პლანზეა წამოწეული კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვა.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა თანასაკუთრებაზე მათი საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად. ეს ყველაფერი აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ ქართული მატერიალური სამართალი დახვეწას საჭიროებს, მით უფრო, მეუღლეთა საკუთრების მარეგულირებელი ნორმები. განსაკუთრებით, დიდი პრობლემა იჩინს თავს იმ შემთხვევაში, როდესაც კოლიზიური სამართალი მითითებას ქართულ მატერიალურ სამართალზე აკეთებს. იმის გამო, რომ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით არასწორი სამართლებრივი

³⁹ Семейный кодекс Российской Федерации, 25.12.1995

რეგულირება გააჩნია ქართულ მატერიალურ კანონმდებლობას, რიგი პრობლემებისა იჩენს თავს და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თუ რამდენად სწორად იქნა შერჩეული მოცემული ნორმა. ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აუცილებელია სამართლის მოცემულ ნორმათა დახვეწა და ევროპის სამართალთან ჰარმონიზაცია. ეს იქნება ხარვეზის აღმოსაფხვრელად წინ გადადგმული ნაბიჯი.

სკს-ის დოქტრინისა და პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კოლიზიური ნორმა, მართალია, მიუთითებს რომელიმე ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე, მაგრამ, თავის მხრივ, მოცემული სახელმწიფოს კოლიზიური სამართალი უკანვე მიუთითებს თავდაპირველი ქვეყნის სამართალზე, ან მიანიშნებს მესამე ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე. აღნიშნულ პრინციპს სკს-ში უკუმითითება (Ruekverweisung) და შემდგომი მითითება (Weiterverweisung) ეწოდება⁴⁰

ზემო აღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კოლიზიური სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის მატერიალურ სამართალთან. ერთ-ერთ მათგანში არსებული პატარა პრობლემაც კი დიდ გავლენას ახდენს საკითხის გადაწყვეტაზე. ამიტომ აუცილებელია, რომ მოხდეს არა მხოლოდ კოლიზიური ნორმების სრულყოფა და მისი ჰარმონიზაცია ევროპის სამართალთან.

§2.2 საქორწინო ხელშეკრულება საზღვარგარეთის ქვეყნების კოლიზიურ სამართალში და მისი როლი საერთაშორისო კერძო სამართლის სივრცეში.

საქორწინო კონტრაქტის საკითხებს თუ განვიხილავდით საქართველოს საკანონმდებლო სივრცის გათვალისწინებით, იგი, რა თქმა უნდა, არასრულყოფილი იქნებოდა, რადგან კოლიზიური პრობლემების გარეშე ამ საკითხის ჩამოყალიბებული კონცეფციები ვერ მოგვცემდნენ სრულყოფილ დასკვნებს ამ ინსტიტუტის რაობის შესახებ. კოლიზიური პრობლემა არის სამართლის არჩევის პრობლემა და იგი უნდა იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ეს საკითხი

⁴⁰ [ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გამ. მერიდიანი, 2011 წ. გვ. 101.]

დამახასიათებელია საერთაშორისო კერძო სამართლისათვის და შეიძლება მისთვის ტიპურ დამახასიათებელ საკითხადაც მივიჩნიოთ. პრობლემატური საკითხის არსი მდგომარეობს იმ გარემოების დაზუსტებაში, თუ რომელი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის მიხედვით უნდა წყდებოდეს ხსენებული ურთიერთობის მოწესრიგება. უნდა აღინიშნოს ორი გარემოება: პირველი, სამოქალაქო - სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც ასეთი წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირების საგანს, იმ შემთხვევაში თუ ხსენებულ ურთიერთობებში, განუყოფელ შემადგენელ ნაწილად (ე.წ. უცხო ელემენტებსაც) წარმოვიდგენდით, რომლებიც უკავშირდებიან რამდენიმე ქვეყნის სამოქალაქო სამართალს; მეორე - საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქორწინო კონტრაქტი რამდენიმე ქვეყნის სამართლის მიხედვით წესრიგდება (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ კი მოხდება ე.წ. შერეული ქორწინება). ამა თუ იმ სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის სისტემა განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამ განსხვავებასთან, შესაბამისად, სხვადასხვანაირად წესრიგდება საქორწინო ხელშეკრულება. ერთი და იგივე ინსტიტუტის საოჯახო სამართლის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას სხვადასხვანაირად უდგება. ამიტომ ჩვენ ამ თავში მოგვიწევს დაზუსტება ორი მნიშვნელოვანი საკითხის: პირველი, საერთაშორისო კერძო - სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება შესაძლებელია როგორც კოლიზიური, ისე მატერიალურ - სამართლებრივი ნორმებით; მეორე, სამართლის კოლიზიის აღმოფხვრა შესაძლებელია კოლიზიური ნორმების გამოყენების მეშვეობით, რომელიც მიუთითებს თუ რომელი ნორმატიული აქტი უნდა იქნას გამოყენებული ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა რომელიმე ქვეყნის, თუ პირველი ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივი.

შევნიშნავთ, რომ საქართველოში კოლიზიური ნორმები მოქცეული არიან ერთიან კანონში- საქართველოს კანონში (საერთაშორისო კერძო სამართლის

შესახებ) 44-54-ე მუხლებში. კანონი იძლევა მრავალი კოლიზიური პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას.

კოლიზიურ ნორმებზე საუბრისას მნიშვნელოვანი საკითხია კოლიზიურ ნორმათა უნიფიკაციის საკითხი. საკითხის არსი მდგომარეობს სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ, ერთიანი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების შემუშავების პრობლემატიკაში. დღეისათვის არსებული მდგომარეობით სწორად არის მიჩნეული მიდგომა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო - კერძო სამართალში უნიფიცირებული ნორმები დაყოფილია ორ დამოუკიდებელ ჯგუფად: პირველი-უნიფიცირებული მატერიალური ნორმები; მეორე-უნიფიცირებული პროცესუალური ნორმები ⁴¹. უნიფიკაცია თავისი დანიშნულების მიხედვით შესაძლებელია იყოს უნივერსალური (გამოიყენებოდეს ყველა ქვეყნის მიერ) და რეგიონალური (ვინაშე პირებისთვის)⁴². უნივერსალურმა უნიფიკაციამ ფართო განვითარება ვერ ჰპოვა. ამ კონვენციებმა ვერ დაიმკვიდრეს ადგილი, ვინაიდან მათში მონაწილეობა რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო. მეტნაკლებად წარმატებული რეგიონალური უნიფიკაციის შედეგად შეიძლება მიჩნეულ იქნას 1928 წლის მეექვსე პანამერიკულ კონფერენციაზე მიღებული ხელშეკრულება, რომელმაც მიიღო ბუსტამანტეს კოდექსის სახელწოდება⁴³.

კოლიზიური ნორმების უნიფიკაცია ხშირ შემთხვევაში ხორცილდება ორმხრივი ხელშეკრულების მეშვეობით. განსახილველ საკითხთან მიმართებაში, კოლიზიური ნორმები ქართული სამართლის სივრცეში მოცემულია და შეკრებილია კანონში (საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ) და იმ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილეც საქართველოა.

⁴¹ გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, გამომცემლობა უნივერსლი, 2010 წ. გვ. 141

⁴² იქვე 141

⁴³ იქვე 142

ქართული კოლიზიური სამართლის მიხედვით, თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთაგანაც იგი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან ეწევა ძირითად საქმიანობას. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ამ კოლიზიურ ნორმაში იყენებს რამდენიმე სახის მითითებას. კოლიზიური ნორმის მითითებით ნაწილში შესაძლებელია იყოს მითითებული იმ კონკრეტული ქვეყნის სამართალზე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული, ან შესაძლებელია მოცემული იყოს ზოგადი ხასიათის მითითება, რომლის საფუძველზეც მოქმედებს ზოგადი გამოსაყენებელი სამართალი⁴⁴.

საქორწინო კონტრაქტის პრობლემატიკას საერთაშორისო სამართლის ჭრილში მთელი რიგი მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებს. *პირველი, საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობის საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა განმარტავს, რომ გარიგების ან მისი ცალკეული დებულებების ძალაში შესვლა და ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარიგების ან მისი რომელიმე დებულების ნამდვილობისათვის. მეორე, საქორწინო კონტრაქტის ფორმა. ქართული საერთაშორისო კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე საქორწინო კონტრაქტის ფორმა უნდა იყოს განსაზღვრული იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო კონტრაქტი, ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება საქორწინო კონტრაქტის საქმის მიმართ. თუ საქორწინო კონტრაქტით მეუღლეები გადასცემენ საკუთრების უფლებას მინის ნაკვეთზე, მიუხედავად კონტრაქტის დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, კონტრაქტის ფორმის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მინის ნაკვეთი; მესამე,*

⁴⁴ გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, გამომცემლობა უნივერსლი, 2010 წ. გვ. 143

კეთილსინდისიერებების პრინციპის დაცვა. აღნიშნული საკითხის მიმართ გამოიყენება საერთო დანაწესი, რომლის მიხედვითაც: თუ კონტრაქტი დაიდო ერთ ქვეყანაში მყოფ პირებს შორის მაშინ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლის ნორმების მიხედვით ქმედუნაროა, მხოლოდ მაშინ შეუძლია მიუთითოს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების მიხედვით თავის უნარობაზე, თუ კი კონტრაქტის მონაწილე მეორე მხარემ კონტრაქტის დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. შევნიშნავთ რომ: პირველი - საქორწინო კონტრაქტის მხარეებს საქორწინო კონტრაქტში შეუძლიათ აირჩიონ კონტრაქტის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი; მეორე - არაქონებრივ უფლებებთან მიმართებაში გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ეს უფლებანი უნდა იქნას გამოყენებული; მესამე - საკონტრაქტო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ: კონტრაქტის განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებების დარღვევა, შესაძლებელია მონესრიგებულ იქნას საქორწინო კონტრაქტის მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალით; მეოთხე- საქორწინო კონტრაქტის მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე, რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება, ან სადაც ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება. მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლის კონტრაქტის დადების შემდეგაც; მეხუთე - სამართლის არჩევა აუცილებლად უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით⁴⁵.

საქორწინო კონტრაქტი საზღვარგარეთის ქვეყნების კოლიზიურ სამართალში- საქორწინო კონტრაქტთა მიმართებაში კოლიზიურ სამართალში მიდგომათა

⁴⁵ [გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, გამომცემლობა უნივერსლი, 2010 წ.გვ. 143-145]

სიმრავლეა, მაგრამ ასევე საზღვარგარეთის სახელმწიფოების კოლიზიურ სამართალს შორის საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში შეიმჩნევა ერთგვარი მსგავსება, მიდგომების კონცეპტუალური არსის ერთ ძირითად კალაპოტში მოთავსების მცდელობა, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირი ანალოგია, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია იმ სახელმწიფოების კოლიზიური სამართლისათვის, რომლებიც ეკუთვნიან ე.წ. „პოსტკომუნისტურ“ სივრცეს. ჩვენ, საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, საქორწინო კონტრაქტით დარეგულირებული მეუღლეთა პირადი ქონებრივი და არაქონებრივი საკითხები. გერმანული BGB⁴⁶ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავის მეოთხე წიგნში მეუღლეთა საქორწინო კონტრაქტს. § 1408-1414 და ასევე სხვა პარაგრაფები, განსაკუთრებით გამოყოფენ საქორწინო ხელშეკრულებით, მეუღლეების ქონებრივი ურთიერთობების განსაზღვრას ცივილური ფორმებით. § 1408-ში აღნიშნულია, რომ მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ქონებრივ - სამართლებრივი ურთიერთობა დაარეგულირონ საქორწინო ხელშეკრულებით, თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ხელშეკრულება წერილობითი უნდა იყოს და მისი ხელმოწერა მოხდეს ნოტარიუსთან ორივე მხარის თანდასწრებით. გერმანული კანონმდებლობა კონკრეტულად არეგულირებს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით მეუღლეთა უფლებებს საქორწინო კონტრაქტის დადებისას. ქმედუნარო პირებს არ ცნობს ხელშეკრულების სუბიექტად. შევნიშნავთ, რომ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, რომელიც ანალიგია BGB-სი, ტიპურია საქორწინო ხელშეკრულების რეგულირების საკითხებში.

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები ინგლისში ხორციელდება არა მხოლოდ საქორწინო კონტრაქტით, არამედ ასევე მეუღლეებს შორის ქონებრივი

⁴⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §1408-1414

ურთიერთობების მარეგულირებელი მინდობილობითი საკუთრების ხელშეკრულების (Trust) საფუძველზე.⁴⁷

საფრანგეთის სახელმწიფო ერთი-ერთია იმ მრავალ ევროპულ სახელმწიფოებთან, რომელშიც კოლიზიური სამართალი არ არის კოდიფიცირებული ერთიან ნორმატიულ აქტში. ამ სფეროში ძირითად წყაროდ საფრანგეთში გვევლინება სასამართლო პრაქტიკა⁴⁸.

შვეიცარიის ფედერალური კანონი საქორწინო კონტრაქტის მიმართებაში ადგენს,⁴⁹ რომ მეუღლეებს აქვთ სრული უფლება აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, ამასთან განსაზღვრონ, რომ მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალი, ან იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც მათ აქვთ ან ექნებათ ქორწინების შემდგომი საცხოვრებელი ადგილი. სამართლის არჩევა ფედერალური კანონის თანახმად უნდა იყოს განხორციელებული წერილობითი ფორმით, ან ნათლად გამომდინარეობდეს საქორწინო კონტრაქტიდან. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამართლის არჩევას აქვს უკუძალა და ითვლება ნამდვილად ქორწინების რეგისტრაციის დღიდან, თუ მეუღლეები არ შეთანხმდებიან სხვა წესზე. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებმა საქორწინო კონტრაქტით ან ცალკე ხელშეკრულებით არ აირჩიეს ქონებრივი რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც მეუღლეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი. ხოლო, თუ მათ ასეთი არ გააჩნიათ, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მეუღლეებს ჰქონდათ უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

ავსტრიის ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ განსაზღვრავს, რომ იმ ქონების მიმართ, რომელიც შეძენილია ქორწინების

⁴⁷ გ.თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გ. 136

⁴⁸ იქვე 43

⁴⁹ <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19870312/index.html>

პერიოდში, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს საქორწინო კონტრაქტის დადებისას. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, ქონების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც იყო განმსაზღვრელი მხარეთა შედეგების მიმართ ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის.⁵⁰

რუსეთის კანონმდებლობა ფაქტობრივად იდენტურია საქართველოს კანონმდებლობის საქორწინო კონტრაქტთან და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან მიმართებაში. საუბარი შესაძლებელია მხოლოდ თვით საქორწინო კონტრაქტის ადგილზე, რუსეთისა და საქართველოს სამართლის მეცნიერებათა სისტემაში. კერძოდ, თუ საქართველოს სამოქალაქო სამართლის სიბრტყეში საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ერთ-ერთ სახეს, ანუ საოჯახო-სამართლებრივ ხელშეკრულებას, თანამედროვე რუსეთის სამოქალაქო და საოჯახო სამართლის სიბრტყეში არსებულმა დაპირისპირებამ მეცნიერების ამ ორ დარგს შორის ერთმნიშვნელოვნად ვერ დაადგინა საქორწინო კონტრაქტის ადგილი სამართლის მეცნიერებათა სისტემაში.

დღეისათვის რუს მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტი განეკუთვნება საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს და, შესაბამისად, მისი სამართლებრივი რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს საოჯახო სამართლის კოდექსის მიხედვით⁵¹. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის საკანონმდებლო დონეზე, ვინაიდან საოჯახო სამართლის კოდექსი მთელ რიგ შემთხვევებში ესესხება სამოქალაქო სამართლის კოდექსში არსებულ ნორმებს და დამოუკიდებლად ვერ წყვეტს საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქორწინო ხელშეკრულებას ეძღვნება რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის მერვე თავის 40-46 მუხლები.

⁵⁰ <https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10002426>

⁵¹ გ.თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ. 120

§2.3 საქორწინო ხელშეკრულებისადმი ქართული საზოგადოების მორალურ-სამართლებრივი დამოკიდებულება - კერძო საკუთრების პრინციპების განმტკიცებამ ხელი შეუწყო საქორწინო კონტრაქტის დამკვიდრების საკითხს. საბჭოთა კავშირში მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობების საკონტრაქტო წესით რეგულირება პრაქტიკულად შეძლებელი იყო.⁵² საბჭოთა სამართალი არ ცნობდა მეუღლეთა საქორწინო კონტრაქტით დარეგულირებულ ურთიერთობებს, რადგან არ არსებობდა კერძო საკუთრება. პოსტსაბჭოთა მენტალიტეტისათვის, ქართული ტრადიციებისა და ადათ-წესებისათვის უცხო არის საქორწინო კონტრაქტის დადება. კონტრაქტის დადების შეთავაზებაც კი, შეიძლება შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს მეორე მხარისათვის.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობამ დაგვარწმუნა იმაში, რომ საქორწინო კონტრაქტი იშვიათად გამოიყენება, მას ჯერ კიდევ არ აქვს ფეხი მყარად მოკიდებული საქართველოში. სტატისტიკის მიხედვით 2015-2018 წლებში საქართველოში სანოტარო წესით დამოწმდა 151 საქორწინო კონტრაქტი,⁵³ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული კონტრაქტების უმრავლესობაში ერთ-ერთი მხარე არის უცხოელი. ასეთი მცირე რაოდენობა ლოგიკურად ჩანს, ჩემს მიერ მოქალაქეთა და ჩემს სამეგობრო წრეში ჩატარებული გამოკითხვის ფონზე.⁵⁴ მათი ხედვა და დამოკიდებულება საქორწინო კონტრაქტის მიმართ უარყოფითი ან ჩამოუყალიბებელი იყო, რაც გამონვეულია სამართლებრივი ნორმების არასულყოფილი ცოდნით. მათში ჯერ კიდევ შემორჩენილია კონსერვატიული აზროვნება. მათი უმრავლესობისათვის ქორწინების ხელშეკრულება მრავალი მიზეზის გამო განქორწინების პროცესთან

⁵² იქვე 14

⁵³ <http://bfm.ge/akhalgazrda-advokatebi-saqartveloshi-151-ojakhs-saqorwino-kontraqti-aqvs-registrirebuli/>

⁵⁴ 31 მაისს და პირველ ივნისს თავისუფლებისა და რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეები, ასევე სოციალური ქსელის facebook-ის საშუალებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ჩემი ნაცნობები გამოვკითხე. კითხვები იყო შემდეგი: იცით თუ არა საქორწინო კონტრაქტის არსებობა? რა აზრის ხართ საქორწინო კონტრაქტზე? დადებდით თუ არა საქორწინო კონტრაქტს და რატომ?

ასოცირდება. საზოგადოებაში ფართოდ არის გამჭდარი აზრი, რომ მომავალ მეუღლესთან ან უკვე მეუღლესთან ქონებრივი გარიგების დადება მორალურად და ეთიკურად მიუღებელია. ჯერ- ჯერობით საქართველოში არ იგრძნობა სანდოობა საქორწინო ხელშეკრულების მიმართ, ვინაიდან მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს სოციალური პრობლემები, პირადი პრობლემები და სხვა. ამიტომ, ჩვენნაირ განვითარებად ქვეყანაში მეუღლეებს ვერ მოვთხოვთ მეტი და მეტი ხელშეკრულების გაფორმებას. სანამ ისინი აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე ფიქრით არიან დაკავებული და სანამ ასეთ დაბალ დონეზე ვიმყოფებით, შემოსავლების თვალსაზრისით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ არამარტო საქართველოს, არამედ სხვა განვითარებული ქვეყნის მოქალაქეებსაც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრმა, პრინცმა ჰარიმ თავის საცოლესთან საქორწინო ხელშეკრულების დადებაზე უარი მხოლოდ იმიტომ განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მისი და მისი ცოლის ქორწინება დიდხანს გასტანს. პრინცმა ამ საკითხში თავის ძმას მიბაძა, რომელმაც ასევე უარი თქვა საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქორწინო ხელშეკრულება სიახლეა ქართული რეალობისათვის, საზოგადოება ძალიან ნელა, მაგრამ მაინც ეჩვენება მას, ვინაიდან ეკონომიკურმა წინსვლამ საფუძველი მისცა მის გამოცენებას. შედარებით უფრო განვითარებული ქვეყნები, დიდ ყურადღებას აქცევენ საქორწინო ხელშეკრულებას, რადგან იმ ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოფილია თითქმის ყველაფრით და ქონების დაზღვევის მიზნით დებენ აღნიშნულ ხელშეკრულებას.

ჩვენი აზრით, საზოგადოებისათვის გასაგები ენით უნდა იქნეს გადაცემული საქორწინო კონტრაქტის ისეთი მხარეები, როგორც არის, მისი ეფექტურობა, რადგან მასში წინასწარ არის გათვალისწინებული რისკები, რაც იძლევა საშუალებას, რომ სასამართლო დავები თავიდან იქნას აცილებული და დაზოგილ იქნას ფინანსური, ადამიანური და დროის რესურსი. მისი დახმარებით არ იქნება სასამართლო პროცესი,

რადგან წინასწარ იქნება მხარეთა შორის შეთანხმებები განწერილი. მიგვაჩნია, რომ საქორწინო კონტრაქტის განვითარებისათვის აუცილებელია მისი განხილვა და მასზე საუბარი უფრო ფართო ჭრილში, რითაც საზოგადოებას მიეცემა საშუალება, აღიქვას საქორწინო კონტრაქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რადგან ხშირ შემთხვევაში, მათ არ იციან საერთოდ არსებობს თუ არა აღნიშნული ინსტიტუტი, ხოლო ვინც იცის, მათი დამოკიდებულება მერყევია, სურვილი აქვთ კონტრაქტის დადების, მაგრამ ბოლომდე არ აქვთ ნდობა.

თავი III საქორწინო კონტრაქტის დადების წესი

3.1 საქორწინო კონტრაქტის დადება, ფორმა და შინაარსი.

საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების წარმოშობის ცვლილების და შეწყვეტის რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა, უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს,⁵⁵ ნოტარიუსს ან სხვა ავტორიზებულ პირს.

⁵⁵ <https://napr.gov.ge/p/309>

სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტები გახლავთ :

- განცხადება (აღნიშნული ივსება შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში უშუალოდ დოკუმენტების მიმღები ოპერატორის მიერ);
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო ხელშეკრულება;
- საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების ცვლილების და შეწყვეტის რეგისტრაციისას - შეთანხმება საქორწინო ხელშეკრულებაში ცვლილებების ან მისი შეწყვეტის შესახებ.
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - 50 ლარი (4 სამუშო დღის ვადაში)

შესაძლებელია ასევე დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაც. ამ შემთხვევაში მომსახურების საფასური შემდეგნაირია :

განცხადების შეტანის დღეს - 200 ლარი

ერთ სამუშო დღეში - 150 ლარი

სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის/რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის 9 საათზე. ეს წესი არ

ვრცელდება მომსახურების დაუყოვნებლივ და განცხადების შეტანის დღეს მიღების შემთხვევაზე.

საქორწინო კონტრაქტის დადება-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საქორწინო კონტრაქტი (ხელშეკრულება) შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგაც ნებისმიერ დროს. საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.⁵⁶

⁵⁶ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ .

საქორწინო ხელშეკრულება ქონებრივ საკითხებზე მეუღლეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, კანონი ზუსტად ვერ განსაზღვრავს მომენტს, როცა მეუღლეებს შეეძლებათ ერთმანეთთან ხელშეკრულების დადება. მისი დადება რაიმე პირობასთან არ არის დაკავშირებული. საქორწინო კონტრაქტის მთავარი არსი ის არის, რომ მისი დადება მხოლოდ დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს შეუძლიათ. საქორწინო კონტრაქტი ძალაში არ შევა მანამდე, სანამ არ მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. თუ ქორწინება არ შედგება დასაქორწინებელი პირების კონტრაქტი უნდა გაბათილდეს და იგი, მათ შორის არავითარ ვალდებულებას არ წარმოშობს.

საქორწინო კონტრაქტის დადებასთან უშუალო კავშირშია მხარეების ქმედუნარიანობის საკითხი⁵⁷. აქ უნდა შევხვით ისეთ პრობლემას, როგორც არის არასრულწლოვნის მიერ ასეთი ტიპის ხელშეკრულების დადება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. იურისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი გარიგების დადება კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე დასაშვებია; მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არის დასაშვები. ჩვენ არ ვეთანხმები იმ იურისტთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ საქორწინო კონტრაქტის დადება დაშვებულია კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე, რადგან საქორწინო კონტრაქტი გარიგებაა, კანონი კი კრძალავს არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობას და მას ბათილად მიიჩნევს.

თუ დასაქორწინებელი პირები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და მათი დაქორწინება საქართველოში ხდება, გამოიყენება კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.⁵⁸ კერძოდ, კოლიზიური ნორმების შემთხვევაში, მოქმედებს ქართული კანონი. ასევე, აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის

⁵⁷ იქვე გვ. 82

⁵⁸ ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გამ. მერიდიანი, 2006წ.

სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ანუ, თუ საქორწინო კონტრაქტი იდება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რომელთაგან თითოეულის ასაკი 17 წელია, მაშინ საქართველოს მოქალაქის მიმართ, გამოიყენება სსკ-ს 1175-ე მუხლი, “შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით”. მეორე მხარისათვის (უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის), მისი ქვეყნის კანონი გამოიყენება და თუ იგი თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით ქმედუნარიანია, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე არ სჭირდება⁵⁹.

საქორწინო ხელშეკრულება საშუალებას იძლევა დარეგულირდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა, შვილების მოვლა-პატრონობა. ანუ, განისაზღვროს ყოველთვიური თანხა, რომელიც დაეკისრება თითოეულ მშობელს შვილების შესანახად. დღეს ბევრი წყვილი ცოლ-ქმრულ ერთიერთობაში ოფიციალურად რეგისტრაციის გარეშეა, ამ შემთხვევაში წყვილს ერთნამეთის ქონებაზე არანაირი კანონიერი უფლება არ გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ თანაცხოვრების პერიოდში საერთო ფულით მათ მიერ შესაძლებელია შექმნილი იქნეს სხვადასხვა ქონება, იგი ეკუთვნის იმას, ვისზეც შექმნის დროს იყო გაფორმებული, ვისი სახელიც დოკუმენტში არის დაფიქსირებული.

არაოფიციალურად თანაცხოვრობის დროსაც კი უკეთესი იქნება თუ შედგება ხელშეკრულება, რომელშიც ისევე როგორც საქორწინო ხელშეკრულებაში, განსაზღვრული იქნება პირების ფინანსურ-მატერიალური, საკუთრებრივი თუ ქცევითი უფლება-მოვალეობები. ასეთი ხელშეკრულება ერთგვარი დაზღვევაა იმ გაურკვევლობებისაგან, რასაც განქორწინების შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

⁵⁹ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ. 83

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი. დავის შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ასევე, ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

საქორწინო კონტრაქტს უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები (ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი, იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერა)⁶⁰.

საქორწინო კონტრაქტის ფორმა

ნების გამოვლენის ფორმის საკითხს განსაზღვრული ადგილი უკავია სამოქალაქო სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, „გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დადგენილი, მხარეებს შეუძლია თვითონ განსაზღვრონ იგი“, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი იძლევა ფორმის სახეებს, როგორც დისპოზიციური ნორმით, ასევე იმპერატიული ნორმით, როცა კანონი განსაზღვრავს გარიგების კონკრეტული ფორმით დადებას. ნების გამოვლენა შეიძლება მოხდეს ზეპირად (ვერბალურად), წერილობით, რთული ფორმით (საჯარო რეესტრის რეგისტრაციისას), კონკლიუდენტური მოქმედებით⁶¹. ნების გამოვლენის არსებობას კანონი ნების კანონიერებას უკავშირებს. ზემოთ აღნიშნული ფორმათა სახეებიდან რომელი შეგვიძლია გამოვიყენოთ საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობის პირობად? კანონი ალტერნატიულ

⁶⁰ თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი, თბილისი, ტიპური ხელშეკრულების ნიმუშები, 2006წ. გვ. 270

⁶¹ ლ. ჭანტურია, შესავალი საქ-ოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილში, თბილისი, გამ. სამართალი, 1999წ. გვ. 346

საშუალებას ამ შემთხვევაში არ იძლევა და პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ „საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით“.

საქორწინო ხელშეკრულება (იხ.დანართი), როგორც ქონებრივი კონტრაქტის ნაირსახეობა, იდება კანონით განსაზღვრული ფორმითა და წესით. კანონი კი იმპერატიულად ითხოვს მის დადებას წერილობით და დადასტურებას სანოტარო წესით. გამომდინარე აქედან, არ შეიძლება რომ საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით, სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. გამოდის, რომ საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი ძალა იმ შემთხვევაშია, როცა მის დასადასტურებლად რთული წერილობითი ფორმა გამოიყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სამართლებრივი ძალმოსილების ვერ იქნება და, ბუნებრივია, ვერც მხარეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს.

რას ნიშნავს „სანოტარო დადასტურება“? კანონი „ნოტარიუსის შესახებ“⁶² მიხედვით, სანოტარო დადასტურებისას ნოტარიუსი ადგენს სანოტარო აქტს და იგი ვალდებულია: ა) დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობა; ბ) დაადგინოს ყველა ის ფაქტი და გარემოება რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადასტურებლად და ამ მიზნით გამოითხოვს ყველა იმ დოკუმენტს, რომლის გამოთხოვაც აუცილებელია; გ) დაადგენს მიზანს, რომლის მიღწევაც სურს მხარეებს; დ) განუმარტავს სანოტარო მოქმედების მონაწილეს სანოტარო აქტის სამართლებრივ შედეგებს; ე) დარწმუნდეს მხარეთა განზრახვის სერიოზულობასა და სანოტარო აქტის შინაარსის მხარის ნებასთან შესაბამისობაში. სანოტარო დამოწმების დროს კი, განსხვავებით სანოტარო დადასტურებისა, ნოტარიუსი არ ამოწმებს დოკუმენტში ჩამოყალიბებული ფაქტების ნამდვილობას. არამედ ამოწმებს ხელმოწერას დოკუმენტზე, რომელიც ეკუთვნის

⁶² საქართველოს კანონი ნოტარიუსის შესახებ.

კონკრეტულ პირს⁶³. ასევე ამონხმებს, დოკუმენტის პირისა და ამონხმერის დედანთან სისწორეს, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს. დამონხმება სრულდება დოკუმენტზე ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერის შესრულების გზით.

„სამართლებრივი ნორმა არის ენობრივ ფორმაში გამოხატული აზრობრივი სტრუქტურა. ბუნებრივია, ენის სრულყოფა არის წინაპირობა იმისა, რომ პრინციპში შესაძლებელია ყველა იმ ურთიერთობის დარეგულირება, რაც ენით გამოითქმის“.⁶⁴ სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნების გამოხატვას. საქართველოში, სადაც სახელმწიფო ენა არის ქართული, ბუნებრივია, რომ ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია, ან დამონხმებულია და დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ, უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე. თუ ერთ-ერთმა მხარემ არ იცის სახელმწიფო ენა, თარჯიმანი უნდა იქნეს მონვეული. გარიგება ამავდროულად დგება იმ ენაზეც, რომელიც ესმის მეორე მხარეს. გარიგების თარგმანის სისწორე დამონხმდება და მხარეს დოკუმენტი მისთვის გასაგებ ენაზე გადაეცემა. ბუნებრივია, ეს საქორწინო კონტრაქტის ენასაც ეხება. ნოტარიუსის დამონხმებულ საქორწინო კონტრაქტს ხელს აწერენ მხერეები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ნოტარიუსი არ დასწრებია ხელშეკრულების შედგენას, ხელის მომწერებმა ნოტარიუსის თანდასწრებით უნდა დაადასტურონ, რომ ხელმონწერა მათია⁶⁵. ხოლო, თუ საქორწინო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყრუ-მუნჯია, ნოტარიუსი ვალდებულია ჩაატაროს სანოტარო პროცედურა შესაბამისი სპეციალისტის მიწვევით, რათა ხელშეკრულების მხარისათვის გასაგები იყოს მისი ნების გამოვლენა. მონვეული სპეციალისტი ხელის მონწერით ადასტურებს, რომ მან სწორად გადასცა ნოტარიუსს პირის ნება. იმ პირის ნაცვალად კი, რომელსაც არ შეუძლია ფიზიკური ნაკლის გამო

⁶³ ლ. ჭანტურია, შესავალი საქ-ოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილში, თბილისი, გამ. სამართალი, 1997წ. გვ. 352

⁶⁴ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2004 წ. გვ. 121

⁶⁵ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ. 86

და ან სხვა საპატიო მიზეზით ხელის მოწერა საქორწინო კონტრაქტზე, მისი დებულებით შესაძლებელია ხელს აწერდეს სხვა პირი. ხელმოწერა ნოტარიუსის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ მიზეზების შესახებაც, რის გამოც, პირი ვერ აფიქსირებს თავის ხელმოწერას. იგივე პროცედურა ტარდება პირის წერა-კითხვის უცოდინრობის შემთხვევაშიც. აღნიშნულ პროცედურებს ნოტარიუსი მოწმეთა თანდასწრებით ახორციელებს. მას შემდეგ, რაც საქორწინო ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მოაწერენ ხელს კონტრაქტს ნოტარიუსის თანდასწრებით, ნოტარიუსმა ხელმოწერათა ნამდვილობა უნდა დაადასტუროს თავისი პირადი ხელმოწერით, ბეჭდით ან სანოტარო რეესტრში სპეციალური ჩანაწერით.

საქორწინო კონტრაქტის გაყალბებისგან დაცვის მიზნით, ნოტარიუსმა დამატებით შეიძლება გამოიყენოს რელიეფური ბეჭედი (ტვიფრული ბეჭედი). კანონმდებელი კრძალავს მექანიკური საშუალებების გამოყენებით ნოტარიუსის ხელმოწერის დასმას⁶⁶.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლის გამოყენებისას, ამოქმედდება 59-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება . . .“

საქორწინო კონტრაქტის შინაარსი.

საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი მისი შინაარსია, რომელიც წარმოგვიდგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლის სახით, რომლის ძალითაც საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე; ასევე საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით

⁶⁶ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ. 87

დადგენილი წესი; ასევე შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავისი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება ან მთლიანად, ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე).

როგორც მუხლის დანაწესიდან ირკვევა, ქორწინების განმავლობაში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვაროვანი სტატუსი განუსაზღვრონ ცალ-ცალკე შეძენილ ქონებას. ამიტომ კანონი არ კრძალავს და სავსებით შესაძლებად მიიჩნევს მათ შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება, როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილზეც. მათ აგრეთვე ისეთი უფლებებიც აქვთ მინიჭებული, რითიც შეუძლიათ მხედველობაში არ მიიღონ, კანონის მიერ საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და საკითხი თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ⁶⁷.

თუ საქორწინო ხელშეკრულება კანონისაგან განსხვავებულად აწესრიგებს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს, ასეთ დროს ხელშეკრულებას ეკუთვნის უპირატესობა და საქორწინო ხელშეკრულება ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სპეციალურ წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

შესაძლებლობა, რომელიც მათ კანონით აქვთ მინიჭებული, საქორწინო კონტრაქტის საფუძველზე გააერთიანონ თავიანთი ქონება. ცხადია, ასეთ ქონებაში ჩაირიცხვის უფლებით ინდივიდუალური საკუთრების ობიექტებიც სარგებლობენ და თანაზიარი ქონებაც. კონტრაქტით მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ ასევე წილობრივი სახით საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე.

თუ მეუღლეები წილობრივად გააერთიანებენ თავიანთ ქონებას, მაშინ ასეთი ქონების მიმართ, კერძოდ, საერთო წილობრივი საკუთრების მფლობელობის,

⁶⁷ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გ . 89

სარგებლობისა და განკარგვის მიმართ თანაზიარი საკუთრებისაგან განსხვავებული წესი გამოიყენება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1178-ე მუხლი არეგულირებს ცალკეულ შემთხვევებში საქორწინო უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას განსაზღვრული ვადით, ან/და ამა თუ იმ პირობების დადგომით. სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა დაუშვებელია. ასეც შეიძლება მოხდეს მეუღლეთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

კანონის მკაცრი დანაწესია, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიცვლება მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ (ეს მათი კონსტიტუციური მოვალეობა არის), საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება;⁶⁸ ასევე საქორწინო ხელშეკრულებაში არ შეიძლება შეტანილ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს. საქორწინო კონტარქტი რეგულირების შესაძლებლობებით ქონებრივი ურთიერთობების ყველა ასპექტს მოიცავს და ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად მათ ნება-სურვილზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ქონებრივ უფლებათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონმდებელი განსაკუთრებულ სიფრთხლეს იჩენს, განსაკუთრებით, ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე⁶⁹ მუხლს ეხება, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

3.2 საქორწინო ხელშეკრულების, შეცვლა, შეწყვეტა, ბათილად ცნობა.

საქორწინო ხელშეკრულება, ისე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია, ამიტომ მისი დადებაც და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ არის მითითებული კანონში იმის

⁶⁸ რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, გამომც. მერიდიანი, 2017 წ. გვ. 141-142

⁶⁹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი V, თბილისი, იურისტების სამყაროს გამ, 2016 წ.

შესახებ, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი⁷⁰ მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ ურთიერთშეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ფიზიკური ამ მატერიალური მდგომარეობის შეცვლა (ხანგრძლივი ავადმყოფობა, შრომისუნარიანობის დაკარგვა ან სხვა).⁷¹ სამართლებრივი თვალსაზრისით, მეუღლეთა ნება აღნიშნული ქმედების განხორციელებაზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, გააჩნდეს სამართლებრივი შედეგები, იყოს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების შედეგი.

მეუღლეებს ქორწინების პერიოდში ნებისმიერ დროს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით, ცალმხრივი წესით ნების გამოხატვა საკმარისი არ არის, რამეთუ იგი ორმხრივი გარიგებაა, რომელიც მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე იდება და განისაზღვრება მისი შინაარსი. კონტრაქტის პირობების შეცვლა მეუღლეთა შეთანხმებით ხდება, მაგალითად, ქონებრივი უფლება-მოვალეობების ხელახალი გადანაწილება, კომერციულ იურიდიულ პირში, თანამონაწილეობის პირობების შეცვლა და სხვა. თუ ერთ-ერთი მეუღლე გამოთქვამს სურვილს კონტრაქტში ცვლილებების შეტანისა, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს მეორე მეუღლეს. თუ არ არსებობს დადასტურება იმისა, რომ კრედიტორი შეტყობინებული იყო კონტრაქტის ტექსტში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, მოვალე მეუღლე ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის (კრედიტორების) მოთხოვნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საოჯახო კანონმდებლობა პირდაპირ არ ავალდებულებს მოვალე-მეუღლეს გააცნოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი, მაგრამ მოვალე-მეუღლე ვალდებულია გააცნოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც

⁷⁰ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გ. 99

⁷¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V.

შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლის საკითხს⁷². გამომდინარე აქედან, მართებულად მიგვაჩნია კანონმდებლის პოზიცია, რომლის მიხედვითაც მოვალე-მეუღლის მიერ ზემოთაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა საკმარის გარემოებად უნდა იყოს ჩათვლილი, რათა კრედიტორს უფლება მიენიჭოს, რომ თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მეუღლეებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა, ასევე მას შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა გარემოებების არსებითი ცვლილებების გამო. ბუნებრივია, კრედიტორს წინასწარ შეეძლო გარემოებათა არსებითი ცვლილებები გაეთვალისწინებინა და ამრიგად, კრედიტორის „ინფორმაციული ვაკუუმის“ მდგომარეობაში ყოფნა, აღწერილი დროის მონაკვეთი, თავისთავად იგულისხმება⁷³.

საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტა.

საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლებია: მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება; განქორწინება; კონტრაქტის ვადის გასვლა; აქვე გვინდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიმართ გამოვთქვათ შენიშვნა, კერძოდ, არ დავეთანხმეთ შესაბამისი დასაბუთებული არგუმენტებით ნორმას, რომელიც ამბობს, რომ „საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებით“. კანონმდებელი საქორწინო კონტრაქტის მოქმედებას მხოლოდ ქორწინების და განქორწინების რეგისტრაციის იურიდიულ ფაქტს უკავშირებს. ამ კუთხით კი, სრულიად უგულებელყოფილია საქორწინო კონტრაქტის სპეციფიკური თავისებურებები: კერძოდ, მისთვის დამახასიათებელი თვისება, რომ ის ძალაში შედის განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომისას და მის შემდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა სასამართლოს მიერ, მეუღლეთა შორის, ქონებრივი დავა განქორწინების საქმესთან იხილება. სხვა შემთხვევაში მეუღლეებს

⁷² გ.თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ 100

⁷³ გ.თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ 100

განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომის შემდგომ სამი წლის განმავლობაში აქვთ უფლება დააყენონ თავიანთი ქონებრივი მოთხოვნები და მოსთხოვონ მეორე მხარეს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.⁷⁴ რამეთუ საქორწინო კონტრაქტის მიმართ, გარდა სპეციალური ნორმებისა, ასევე მოქმედებს ზოგადი წესები გარიგების შესახებ. ბუნებრივია, მისი შეწყვეტის ერთ-ერთ პირველ საფუძვლად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის პირველი ნაწილით, მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება მიიჩნევა. არცერთ მეუღლეს არ შეუძლია აიძულოს მეორე მეუღლე საქორწინო კონტრაქტის დადებაზე და ამ კონტრაქტის შეწყვეტაც მათი ნებაა.

შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს თანაზიარი საკუთრების განაწილების წესი მეუღლეთა განქორწინების შემთხვევისათვის. ხელშეკრულება შეწყდება აღნიშნული წესის შესრულების შემდეგ. თუ ხელშეკრულებით მეუღლეთა შორის ქორწინების შემდგომი პერიოდის რაიმე ვალდებულების შესრულება იყო გათვალისწინებული, ხელშეკრულების ეს ნაწილი განქორწინების შემდეგაც ძალაში რჩება. თუკი საქორწინო ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იყო დადებული, ამ ვადის გასვლა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მათ შეუძლიათ ახალი საქორწინო ხელშეკრულების დადება.

საქორწინო კონტრაქტის ბათილობა.

საქორწინო კონტრაქტის ბათილად ცნობისათვის, ანალოგად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგადი ნორმები გარიგების ბათილობის შესახებ,⁷⁵ ესენია: ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მხარის მეორეზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით; მხოლოდ მოსაჩვენებლად; იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს; ბათილია ისეთი

⁷⁴ იქვე 102

⁷⁵ გ.თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ 102

საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუენაროდ აღიარებული პირის მიერ, ან დადებულია სულით ავადმყოფის მიერ, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუენაროდ აღიარებული; ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული საქორწინო კონტრაქტი; მოტყუებით დადებული საქორწინო კონტრაქტი; იძულებით დადებული საქორწინო კონტრაქტი. ასევე აღსაღნიშნავია, რომ საქორწინო კონტრაქტის ბათილობას იწვევს ისეთი სახის იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინოს პირზე. საქორწინო კონტრაქტის ბათილობის განსამართლავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი, რომ საქორწინო კონტრაქტის ნაწილის ბათილობა თუ სხვა ნაწილის ბათილობას არ გამოიწვევს და გარიგება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდ. დანარჩენი ნაწილი ბათილად არ ჩაითვლება, მაგრამ თუ ერთი ნაწილის ბათილობა გავლენას ახდენს საქორწინო კონტრაქტის სხვა ნაწილებზეც და მას არანამდვილს ხდის, მაშინ მთლიანად საქორწინო კონტრაქტი იქნება ბათილი. საქორწინო კონტრაქტის გაბათილება შეიძლება სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლის პირობების დაუცველობისას.

დასკვნა

საკვლევ ნაშრომში განხილულია თანამედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტი, საქორწინო კონტრაქტი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივი და სოციალ-ფსიქოლოგიური ფენომენია, ამიტომ მისი შესწავლა არა მარტო სამართლებრივი კუთხით უნდა მოხდეს, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიურ რაკურსშიც.

ზოგიერთი ცივილისტი მეცნიერის მოსაზრება, რომ საქორწინო კონტრაქტში მხოლოდ მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები უნდა განისაზღვროს, ჩვენი აზრით, არის მცდარი. საქორწინო კონტრაქტის შედგენის , მხარეებს სრული შესაძლებლობა აქვთ, შეთანხმდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, არამედ არაქონებრივზეც.

საქორწინო კონტრაქტის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები გარიგებათა შესახებ, იმ განსხვავებით თუ სპეციალურ დათქმას არ ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულება.

საქორწინო კონტრაქტი უნდა დაიდოს წერილობით, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს, ხოლო ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გარკვეული ნორმები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის 1173-ე მუხლთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი საერთო წესის თანახმად, როგორც ინსტიტუტში შემავალი პირველი ნორმა უნდა განსაზღვრავდეს ცნებას. აღნიშნული მუხლი მიუთითებს მხოლოდ მეუღლეთა უფლებებზე დადონ საქორწინო კონტრაქტი. მიგვაჩნია, რომ სამართლის ამ ნორმაში ჩასამატებელი სიტყვებია „დასაქორწინებელ პირებს ან ..” ასეთ შემთხვევაში აღნიშნული სამართლის ნორმა სამართლებრივად გამართული იქნება⁷⁶.

ჩვენი აზრით, საქორწინო კონტრაქტი საოჯახო-სამართლებრივი გარიგებაა, რომელიც მიმართულია დასაქორწინებელ პირთა (მეუღლეთა) ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

როცა არასრულწლოვანს ეძლევა დაქორწინების ნებართვა სასამართლოს მიერ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას საქორწინო კონტრაქტის დადების უფლება მიენიჭა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო თავის გადანყვეტილებაში სპეციალურად მიუთითებს ამის შესახებ. თუმცა ამის საჭიროება პრატიკულად გამორიცხულია. იმიტომ, რომ საქორწინო ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს დაქორწინების მომენტიდან. ასევე, რეგისტრაციის მომენტიდან არასრულწლოვანი მეუღლე სრულქმედუნარიანი ხდება (ადგილი აქვს იურიდიულ ფიქციას). თუ ქორწინების რეგისტრაციიდან ძალაში შესული საქორწინო ხელშეკრულება ლახავს არასრულწლოვანი მეუღლის ქონებრივ ინტერესებს,

⁷⁶ გ. თუმანიშვილი, საქორწინო ხელშეკრულება, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ. გვ 13

შესაძლებელია მისი გაბათილება. თუკი იგი, ამ ხელშეკრულებით სარგებელს იღებს, სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით საერთოდ არ არის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საჭირო და არც ხელშეკრულების გაბათილების საკითხი დადგება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1157-ე მუხლთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის დანაწესი გარკვეულ შეუსაბამობაში მოდის კონსტიტუციურ პრინციპთან, რომ მეუღლეები ვალდებულნი არიან შვილების აღზრდისათვის ერთად იზრუნონ. ცალ-ცალკე ცხოვრებისას, გაურკვეველია სად უნდა იცხოვროს ბავშვმა მამასთან თუ დედასთან. თუ, ვთქვათ, ერთი თვით დედასთან, ხოლო შემდეგი თვე მამასთან. ჩვენი აზრით, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვის განვითარებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი სპეციალურია. თუმცა არსებობს ასევე 183-ე მუხლი, რომელიც ასევე სპეციალურია და რომლის თანახმადაც, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია მხარეთა წერილობითი ხელშეკრულება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“, აღნიშნული ნორმა მოითხოვს იმპერატიულად მესაკუთრის რეგისტრაციას და, შესაბამისად, მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირი ითვლება უძრავი ქონების მესაკუთრედ. გამოდის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 1198-ე მუხლების შინაარსიდან ირკვევა, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონებისა და მათ შორის, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უნდა იყოს ორივე მეუღლე, მაგრამ აქ ერთი საკითხი წარმოიშობა: თუ ორივე მეუღლემ შეიძინა ერთობლივად საერთო სახსრებით საცხოვრებელი სახლი, მაგრამ საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლე დარეგისტრირდა მესაკუთრედ, მაშინ ის მეუღლე დავის შემთხვევაში (განქორწინების შემთხვევაში) სახლის მესაკუთრე გახდება.

მიგვაჩნია, რომ უძრავი ქონების შეძენისას ორივე მეუღლის შემთხვევაში, მაგრამ ერთ-ერთის რეგისტრაციისას (როცა თუაქტობრივად რეგისტრირებული პირი

ხდება მესაკუთრე), ირღვევა მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის დანაწესი, რომ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება მეუღლეთა საერთო საკუთრებაა, ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის დანაწესს, რომ უძრავი ქონების შემძენად მხოლოდ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული პირი ითვლება. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზიდან გამომდინარე, ქორწინების პერიოდში შექმნილ საცხოვრებელ ბინაზე, ან სხვა უძრავ ქონებაზე კანონით მინიჭებული თანაბიარი საკუთრების უფლების მოპოვება მეუღლეებს უნევთ სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე. საჯარო რეესტრის პრეზუმციიდან გამომდინარე, უტყუარობისა და სისწორის პრეზუმცია არსებობს და ცალსახად მხოლოდ იმ მეუღლეს ცნობს კანონი უძრავი ქონების მესაკუთრედ, რომელიც დარეგისტრირდა მესაკუთრედ. დღევანდელი მოცემულობით კანონი უსამართლოა მეორე მეუღლის მიმართ. უკეთესი იქნებოდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი: „უძრავი ქონების მესაკუთრეებად მეუღლეები ცხადდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ასეთად დარეგისტრირდებოდნენ საჯარო რეესტრში“.

ვთვლით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი ხარვეზიანია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით ქონება ხომ უძრავიც არის და მოძრავიც. ჩვენი აზრით, მოძრავი ქონების შესახებ შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის დანაწესის გამოყენება, მაგრამ თუ მეუღლეებმა თანაბარწილად შეიძინეს უძრავი ქონება, მაგრამ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ ერთ-ერთი მეუღლე დარეგისტრირდა, ამ უკანასკნელს სჭირდება კი მეორე მეუღლის თანხმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლიდან გამომდინარე? ცხადია არა. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის პირველი წინადადება გარკვეულ გაუგებრობას იწვევს.

მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე ის ქონება, რაც მეუღლეებს ერთობლივად აქვთ გამოყენებული კომერციული იურიდიული პირის დაფუძნებისას. მაგრამ მეუღლეები ქონების იურიდიულ პირში დაბანდებისას კარგავენ მასზე უფლებას, რამეთუ ეს ქონება იურიდიული პირის საკუთრება ხდება. მათ მხოლოდ შეუძლიათ დივიდენდები მიიღონ, ამ დივიდენდების განკარგვის უფლებაზე კი ორივე მათგანი თანაბრად უფლებამოსილია, ერთის მიერ განკარგვის შემთხვევაში მეორეს თანხმობაა საჭირო. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სპეციალური ნორმები უფრო ძლიერია ვიდრე კონტრაქტი.

სამწუხაროდ, საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა არ მოითხოვს საჯარო რეესტრში მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრედ ორივე მეუღლის აუცილებელ რეგისტრაციას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი ადგენს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში შემავალი ქონების განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმის მიუხედავად, თუ რომელი მეუღლე განკარგავს მას. თუ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის გარდა ქონება მეორე მეუღლესაც ეკუთვნის, მაშინ გამოდის, რომ საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობას ვერ დაეყრდნობა მესამე პირი და მისი ინტერესები დაუცველი ხდება. საჯარო რეესტრის არსებობა აზრს კარგავს.

მიგვაჩნია, რომ საქორწინო კონტრაქტში უნდა იყოს მოცემული ერთგვარი პრეამბულა, რომელშიც აღნიშნული იქნება კონტრაქტის მხარეთა ნების გამოხატვის თავისუფლების შესახებ. შესაძლებელია კონტრაქტის ამ ნაწილში იყოს მხარეების დეკლარაციული ხასიათის ფორმულირება, რომელიც მიმართული იქნება ოჯახის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად და მხარეთა სიყვარულის განმტკიცებისაკენ, ასევე საქორწინო კონტრაქტის ზოგადი ნაწილი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონტრაქტის საგნის შესახებ, ანუ განსაზღვრებას, თუ რა შეადგენს საქორწინო კონტრაქტის საგანს. გარდა ამისა, საქორწინო კონტრაქტის ზოგად ნაწილში მითითებული უნდა იყოს კონტრაქტის მოქმედების ვადა.

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკანონმდებლო ინიციატივები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობათა თანასწორად დაცვის პრინციპს, მეუღლეთა უფლება მოვალეობების განხორციელების პროცესში წარმოშობილ სხვადასხვა პრობლემური სიტუაციის ოპტიმალურად გადაწყვეტასა და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) საქართველოს 2018 წლის კონსტიტუცია.
- 2) საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით 2019 წლის მდგომარეობით).
- 4) საქართველოს 1999 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ცვლილებებით და დამატებებით 2019 წლის მდგომარეობით)
- 5) საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ.

საქართველოს 1998 წლის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (ცვლილებებით და დამატებებით 2019 წლის მდგომარეობით).

6) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2001 წ.

7) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, იურისტების სამყაროს გამომცემლობა, 2016 წ.

8) საქართველოს კანონი ნოტარიუსის შესახებ.

9) გ. თუმანიშვილი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010 წ.

10) თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2001 წ.

11) ს. გამყრელიძე, საერთაშორისო კერძო სამართლის შესავლი, წიგნი პირველი, თბილისი, გამომცემლობა ბონა კაუზა, 2000 წ.

12) ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2012 წ.

13) შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2004 წ.

14) ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა პირადი უფლება-მოვალეობანი, თბილისი, უურნალი სამართალი, 2002 წ.

15) ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანივთო პრაქტიკაში, თბილისი, დისერტაცია, 2004 წ.

16) რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2017 წ.

17) რ. შენგელია, ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 1998 წ.

18) რ. შენგელია, ე. შენგელია, თბილისი, საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2009 წ.

- 19) დ. სუხიტაშვილი, სანოტარო სამართალი, 2012 წ.
- 20) ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2011 წ.
- 21) თ. ჩიტოშვილი, უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, გამომცემლობა სპექტრი, 2006 წ.
- 22) ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, თბილისი, 2004 წელი.
- 23) ბ. ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, გამომცემელი საქმის სასწავლო ცენტრი, 2005 წ.
- 24) ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამ. 1957 წ.
- 25) ივ. ჯავახიშვილი, თხზ: ტ.VII (ის. დოლიძის რედ.)
- 26) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბილისი, 2009 წ.
- 27) თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი, თბილისი, ტიპოური ხელშეკრულების ნიმუშები, 2006წ.
- 28) გ. გოლაშვილი, მეუღლეთა თანასაკუთრება, თბილისი, ჟურნალი „ საქართველოს ნოტარი“. 2002წ.
- 29) <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/324/gankortsineba>
- 30) <https://www.smartlaw.de/>
- 31) <https://www.hvw.ch/upload/pdf/monatsbeitrag/ehevertrag.pdf>
- 32) <https://www.realmofhistory.com/2017/11/22/oldest-marriage-contract-infertility/>
- 33) <https://www.admin.ch/opc/de/classified-compilation/19070042/index.html>
- 34) <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ir/ir009en.pdf>
- 35) Convention of 14 March 1978 on the Law Applicable to Matrimonial Property Regimes, <http://www.hcch.net/upload/text33ge.pdf> ;
- 36) Delitz M. Die Gleichberechtigungsentwurf im Staatsangehörigkeitsrecht, StAZ,

154J;

37) Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, 18.08.1896, <http://www.gesetze-im-internet.de/bgbeg/BJNR006049896.html#BJNR006049896B NG000103377>;

38) Семейный кодекс Российской Федерации, 25.12.1995.;
<http://www.usynovite.ru/documents/federal/legislative/familycodex/>;

39) Лалетина А. ` Коллизионные нормы, регулирующие;

40) имущественные отношения супругов в законодательстве иностранных государств. „Московский журнал, Международного права“ , 1/2004/53, Москва;

41) Лягарб П. „Единое общеевропейское регулирование имущественных отношений супругов и наследования.“

42) Газета „Аргументы и Факты“, N39, 9 августа 2002.

43) Cheshire and North, Cheshires □, Pivate International.

3.1 საქორწინო კონტრაქტი

ქ.თბილისი 21.06.2019

ერთის მხრივ, მოქალაქე :----- დაბადებული -----, მცხოვრები -----,
პირადი ნომერი ----- , რეგისტრირებული მისამართზე-----
მეორეს მხრივ, მოქალაქე:----- დაბადებული ----- მცხოვრები -----,
პირადი ნომერი -----, რეგისტრირებული მისამართზე-----

შემდგომში მოხსენიებულნი როგორც მეუღლეები ვდებთ საქორწინო ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მეუღლეთა ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები რომელიც წარმოიშვება როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

2. ზოგადი დებულებები

2.1 საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანასწორობით, დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლენა აკრძალულია.

2.2 მეუღლეები ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს შესარულონ ურთიერთრჩენის და საალიმენტო მოვალეობანი.

2.3 მეუღლეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას, რათა წარმოქმნილი უთანხმოება/დავა აღმოფხვრან მხოლოდ მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

3. ქორწინების განმავლობაში წარმოშობილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

3.1 მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი მთელი უძრავი ქონება, მიუხედავად საერთო-საოჯახო მიზნებისა, წარმოადგენს იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას ვისი სახსრებითაც განხორციელდა შესყიდვა.

3.2 მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი მთელი მოძრავი ქონება წარმოადგენს მათ საერთო საკუთრებას თანაბარი საკუთრების ფორმით, გარდა მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებისა და თითოეულის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებისა.

3.3 საერთო ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

3.4 იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის, ხორციელდება წერილობითი შეთანხმებით, იმისდამიუხედავად თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას.

3.5 ინდივიდუალურ ქონებაზე მეუღლეების შეთანხმებით შეიძლება განხორციელდეს ფლობის და სარგებლობის უფლებები, რაზედაც მესაკუთრე მეუღლე უფლებამოსილია დააწესოს თავისი პირობები.

3.6 მეუღლეთა მიერ შექმნილი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, გარდა ძვირფასეულობისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შექმნილი იქნა მეორე მეუღლის მიერ ან მეუღლეთა საერთო თანხით, ითვლება იმ მეუღლის ინდივიდუალურ ქონებად, რომლის ინდივიდუალური სარგებლობისთვისაც არის ის განკუთვნილი, მათ შორის განქორწინების შემდგომაც.

3.7 თითოეული მეუღლის ინდივიდუალური ქონება შეიძლება გადაიქცეს საერთო ქონებად თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში მეორე მეუღლის მიერ განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა.

3.8 მეუღლეების მიერ მიღებული შემოსავალებიდან უნდა დაიფაროს პირველ რიგში საერთო საოჯახო ხარჯების დაფარვისათვის გათვალისწინებული გასავლები.

4. განქორწინების შემთხვევაში წარმოშობილი ქონებრივი უფლებამოვალეობანი.

4.1 განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა სარგებლობისა და მფლობელობაში არსებული მოძრავი ქონება იყოფა თანაბრად.

4.2 განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო სარგებლობისა და მფლობელობაში არსებული მთლი უძრავი ქონება იყოფა იმის მიხედვით, თუ რომელი ქონება რომელი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს.

4.3 საქორწინო და სხვა საჩუქრები რომლებიც მიღებულია მეუღლეთა მიერ ერთობლივად ან ცალ-ცალკე განქორწინების შემთხვევაში იყოფა თანაბრად.

4.4 განქორწინების შემთხვევაში შვილებისათვის შეძენილი ქონება დარჩება შვილების საკუთრებაში. ხოლო შვილებისათვის ნაჩუქარ სხვა უძრავ თუ მოძრავ ქონებას მათ სრულწლოვნების ასაკის მიღწევამდე განკარგავს ის მშობელი, რომელთანაც შვილები რჩებიან აღსაზრდელად.

4.5 ქონების გაყოფისას თუ საერთო ქონებას მიკუთვნებული ნივთების გაყოფა შეუძლებელია და ერთ-ერთ გადაეცემა ისეთი ნივთი, რომლის ღირებულება მის კუთვნილ წილს აღმატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

5. დამატებითი პირობები

5.1 განქორწინების შემთხვევაში შვილები სრულწლოვნების მიღწევამდე საცხოვრებლად რჩებიან დედასთან.

5.2 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ყოფილი მეუღლე, დედასთან საცხოვრებლად დარჩენილ თითოეულ შვილზე მათ სრულწლოვნების ასაკის მიღწევამდე ყოველთვიურად, საკუთარი შემოსავლიდან სარჩოს სახით იხდის 10 % შესაბამის თანხას.

5.3 მხარეთა შეთხმებით ყოფილ მეუღლეს დაუბრკოლებლად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა არასრულწლოვანი შვილის/შვილების აღზრდაში.

6. საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა/შენწყვეტა

6.1 საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ცალმხრივად საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა/შენწყვეტა დაუშვებელია.

6.2 საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას. განქორწინების შემთხვევაში საქორწინო ხელშეკრულება ძალაში რჩება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მოიცავს განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთათვის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და ხელშეკრულებით დაწესებულ დამატებით პირობებს.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 თითოეული მეუღლე ვალდებულია შეატყობინოს თავიანთ კრედიტორებს საქორწინო ხელშეკრულების დადების, შეცვლის და გაუქმების შესახებ.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს.

7.4 ხელშეკრულება ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.